

კავკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის იდენტო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14^e).

№ 10 (17)

ო ძ თ ი მ ა ბ ა რ ი

№ 10 (17)

მ ი ნ ა პ ა რ ი :

- რ. გაბაშვილი — „მიუნხენის“ გეზი.
- გ. ჭავიაშვილი — ჩეხოსლოვაკიის გაკვეთილი.
- ვლ. ო. — დიდი სახელმწიფონი
- დინარელი — მიუნხენი და უენევა
- მიხეილ კედია — პასუხი „კავკასიელ ჯელისაგან“ ბ-ნ უორდანიას „ხანდაზმულ“ კარისკაცს
- ვლ. ემუხვარი — ჩემს ბრალმდებელთ
- დ. სალირაშვილი — ერთი უცნაური კორესპონდენციის გამო
- შოთა ბერეჟიანი — სოშო (მენშევიკ შავიშვილის ორი მოხსენება)
- გ. ჯაყელი — ვახტანგ მაჩაბელი (ნეკროლოგი)
- დამსწრე — „კაუკაზიშე ფერტრაუენშტელლე“-ს დაარსება ბერლინში
- გ. ჯაყელი — ბიბლიოგრაფია: ზ. ავალიშვილი, „თეიმურაზ პირველი და მისი პოემა წამება ქეთევან დედოფლისა“.
- რ. გ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„მიუნხენის“ გეზი

მიუნხენის შეთანხმება, მიუხედავად მის შემდეგ მსოფლიო პრესის ატეხილი განგაშისა, ის ჯვარედინია, საიდანაც ევროპისა და მსოფლიოს პოლიტიკაში სხვა გეზი მიიღო. ენკენისთვის ბოლო დღეები უნდა ჩაითვალოს ისტორიულ დატათ, როცა გათავდა, დიდი ომისაგან მიყენე-

ბულ ჭრილობათა განკურნება, — პაციფისტურ სიტყვიერებასა და „ერთა ლიგის“ ზმანებათა რიგით რომ გამოიხატებოდა — და დაიწყო ახალი ხანა, ხანა ჯანსაღ ერთა ჯანსაღი პოლიტიკისა. ჯანსაღმა ერმა იცის, თუ რაზეა დამყარებული ზავი და რა არის საჭირო ომისათვის. ოცი წლის პაციფისტური ზღაპრები — მხოლოდ ნანინა იყო გულუბრყვილო მოქალაქეთათვის ამღერებული და ლოკვა, ომში მიღებულ ჭრილობებისა.

მიუნხენში თავმოყრილმა ოთხმა ლომმა სთქვეს და იგრძნეს: დღეიდან ერთმანეთს ვეღარ მოვატყუებთ და, როგორც ყოველთვის იყო, დღესაც არის და იქნება მუდამ: „ძალა აღმართსა ხნავსო“! „ნებამ დაფარცხოს თავდალმართი“-ოს დღეები დასრულდა. ეს კანონიერი, ბუნებრივი და ყველა მოთამაშესათვის ერთნაირად ცნობილი და სავალდებულო „წესები პოლიტიკურ თამაშისა“, ერთნაირად პატიონად ესმით, როგორც „დემოკრატიებს“, ისე „დემოკრატიის მოწინააღმდეგეთ“.

მაგრამ მიუნხენის მნიშვნელობა სხვაგანაცა სცემს: მიუნხენმა ცხადჰყო, რომ მოსკოვი მუდამ „ჩამწყობი“ (ტრიშორ) იყო პატიოსან თამაშში და ... გარედ დასტოვეს. პოლიტიკაში კი „გარედ დატოვებას“ უზომო შედეგები შეიძლება მოჰყვეს. და უფრო მაღე, ვიდრე მოსალოდნელი იყო, ასეთი შედეგების მანქანა დაიძრა კიდეც: მეორეხარისხოვანი სახელმწიფონი სხვანაირად ლაგდებიან. გაზეთებმა მოგვიტანეს ჯერ სასენსაციო „ამბავი“, რომელიც ხვალ შეიძლება, რეალობად იქცეს და „ბერლინ-რომის ლერძი“, ან ჩატეხოს, ან გამობრძმედილ ფოლადად აქციოს.

ეს ამბავი, დოქტორ ფრანკის განცხადებაა: „ჩრდილოეთ ზღვიდან შავ ზღვამდე ეკონომიური (?) ხაზი აღდგენილია: ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას იუგოსლავია, ბულგარეთ, ოსმალეთთან“-ო.

ოსმალეთის აღმდგენ ათათურქს, შეუძლიან მშვიდათ და გულმართლად წარუდგეს თავის წინაპართ, მის საყვარელ სამშობლოს ველარავინ გადასთელავს, რაღვან დემოკრატიული ინგლისიც და ტოტალიტარული გერმანიაც თანაბრად დაიმეგობრა.

ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი ჭკუის კოლოფებიც მიხვდებიან როდისმე, რომ ლომთა ჭიდილში არ არის ხელსაყრელი, ერთს დაუწუნო იდეოლოგია, მეორეს რეუიმი, მესამეს კუდი, მეოთხეს ფაფარი?

ლეკვი-ლომისა მაშინაა ლირსი ლომობის, როცა ესმის, რომ ჯერ ლეკვია; და ლომივით ბოხი ხმით ლრიალი ჯერ ლომობა არ არის.

კავკასიელთ, მრავალ საუკუნეთა მანძილზე, მრავალი ბასრი ბრჭყალი მოგვხვედრია, მაგრამ დღემდე ცოცხლად და სახის შენახვით მოგვიღწევია; მიუნხენიდან მორჭმით წამოსული ფალავნების შორეული პერსპექტივები ბევრს აგვიტოკებს გულსა, მაგრამ თავბრუ არ უნდა დაგვახვიოს, თუ გვინდა კავკასია კავკასიელთათვის და არა გადამთიელთათვის.

ჩეხოსლოვაკიის გაკვეთის

ჩეხოსლოვაკია, როგორც ვერსალის პირმშო „ლ'ეტა კროკოდილ“ აღარ არსებობს.

მის ნაცვლად თითქოს იქმნება ახალი ნამდვილი სახელმწიფო ბრივი ერთეული, აშენებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე.

შეგნებულ, შორსმჭვრეტელ ჩეხისთვის სექტემბრის „კატასტროფა“ (თუ კი კატასტროფად ჩავთვლით) მოულოდნელი არ იქნებოდა. ალბად ის კარგად ითვალისწინებდა, თუ რა ხითათს უმზადებდა ქვეყანას ისეთი ეთნიური სიჭრელე, დიდ სახელმწიფოთა შეჯახებისას.

ხელოვნურად შორეულ ისტორიულ საზღვრებში მოქცეულს, სხვისი მუდმივი მფარველობა სჭირდებოდა და დანგრევის შიში, 20 წლის მანძილზე. მისი ეროვნული ენერგიის დაქსაქსვას იწვევდა.

მოსალოდნელია, სექტემბრის „კატასტროფა“ მიანიჭებს ბუნებრივ განვითარების გზაზე დადგომის ძალას, საერთაშორისო ოჯახში საკუთარ აღგილის დამკვიდრებისა და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას. ამის იმედს იძლევა მისი უკანასკნელი მიზანშეწონილი მოქმედება, რითაც მსოფლიოს სიმპატია მარტოოდენ საკუთარ ძალაზე დამყარებით სამართლიანად დაიმსახურა.

„სხვისთვის თავგანწირვა“, „ხარაკირი“ და სხვა ქათინაური, რომლითაც მას უხვად ამკობს უცხოეთის პრესა მისთვის ვერაფერი ნუგეშია. მან კარგად დაინახა „მეგობრების“ ფასი და რომ ... ქარის მოტანილი ქარსავე მიაქვეს!

ცვალებადია პატარა ერის ბედი. თუ დღეს ჩეხოსლოვაკია მაინც არსებობს და ჩეხენსავით უცაბედად არ დაიღუპა, მიეწერება არა მარტო ევროპის გამოფხიზლებას და დამშვიდების სურვილს, არამედ რაც მთავარია, ჩეხია მოსალოდნელ ქარიშხალს დახვდა, როგორც მომწიფებული ერი, ლრმა ეროვნული შეგნებით და პოლიტიკურ მომზადებით შეიარაღებული და, მსხვერპლ-გაღებამდე ამაღლებულმა, შესძლო დათმობა, როგორც ძველად ქართველებსაც სჩვევიათ: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს — ვაჟკაცი მამაცისაგან“.

ამ მხრივ, ჩეხოსლოვაკია დაფასებისა და პატივისცემის ღირსია. მან დაამტკიცა, რომ არც ერის წარსულის „ტაბულა რაზად“ გამოცხადებაა სწორი და არც მის ეროვნულ ორგანიზაციის მომზადებას ჩაუვლია ფუჭად, ჰაბსბურგთა იმპერიის წიაღში „შევარდენის“ სახით, მომავალ სახელმწიფოს საფუძვლად რომ გაუხდა.

სასურველი იქნებოდა — ჩეხია იყოს მირონცხებული წინამორბედი ამ გარდატეხის ხანაში, როდესაც ერთა თვითგამორკვევის პრინციპი პლატონიურ სურვილთა სფეროდან უკვე გამოდის და ხორციშესხმულ ფორმებში ყალიბდება.

ერთად ერთი იმედი ჩვენებრ მცირე და ჩაგრულ ერისათვის.

ჩეხოსლოვაკიის ბედი ჩვენთვის აღმზრდელობითი მნიშვნელობის კარგი გაკვეთილია და მომავლისათვის დაუფასებელი სამსახურიც უნდა გაგვიწიოს.

რამდენად სუსტი და მერყევია, თუმც საყოველთაოდ მიღებული, უსამართლობაზედ აშენებული საქმე, სხვისი იმედით ცხოვრება, თუ რა შედეგს იძლევა სხვისივე იმედით გაღვიძებული მაღა, ყველანი ვხედავთ. რამდენი ქართველი გამოიტანს ამ ამბებიდან შესაფერ და-დებით დასკვნას? ვინ არის მართალი, ვინაა მტყუანი, ამის დაფასებას არც არავინა გვკითხავს და არც ჩვენი საქმეა.

პირიქით, მომხდარ ამბების ჩაკვირვება, შესწავლა და საქართველოსათვის გამოყენება კი შეადგენს ჩვენს პირდაპირ მოვალეობას.

იქნებ ეხლა მაინც ჩაუფიქრდნენ 4 დეკემბრის (1937 წ.) ტიტულებიანი ორატორები თავიანთ შეცდომას და გადაავლონ თვალი კი-დევ ერთხელ მათ უმწეო და სამარცხვინო რეზოლუციას „ბისტროდან ბისტროში“ რომ დაატარებდნენ. იქნებ სხვამ მაინც დაინახოს რამდენად მავნე და უსამართლოა უმეცარი უურნალისტების ისტერიული ჩხავილი კავკასიაში ქართველების გეგემონიის დამყარების აუცილებლობაზედ და ჩვენ ეროვნულ ღალატზედ — ჩეხოსლოვაკიის ამ გა-კვეთილის შემდეგ.

კავკასიური დასის მიზანი იმ თავითვე იყო და დღესაც არის — კავკასიას ასცდენოდა ჩეხოსლოვაკიის ბედი და საერთო ენერგია ერ-თი გზით, ერთი მიზნისაკენ მიემართა ყველას სასარგებლოდ. ამოცანა, რომლის სიძნელე მხოლოდ ჩვენს შეუგნებლობას უდრის. ნუთუ ეროვნულ მომზადების ნიშნად ჩაითვლება მეზობელ ერის ჩაგვრით დამუქრება? და არა პირიქით, მათ შორის ნდობის და პატივისცემის დამყარება და განმტკიცება!...

რა ხანგრძლივი საქმე გაკეთებულა ტრაქტატების, პაქტების სა-შუალებით, თუ მათ არ აკავშირებს ურთიერთშორის კეთილი ფსიქო-ლოგიური განწყობილება, ურომლისოდ ფუჭია „გეოპოლიტიკაც“ და სხვა ამგვარი უსულო, ჩვენთვის უცხო ტერმინოლოგია.

საერთო საქმე ითხოვს წევრისაგან მსხვერპლს, და მით უმეტეს იმათგან, ვისაც მეტი შეგნება, მომზადება და მომწიფება აქვს. ასეთი მსხვერპლი საერთო საქმეში არას დროს არ იკარგება, პირიქით, გამ-ღებს საპატიო ადგილსაც უთმობს.

ამის შეგნება ითხოვს არა სიტყვიერს, არამედ ნამდვილ ეროვნულ სიმწიფეს, რომელიც საუბედუროდ ჯერ კიდევ ბევრ ჩვენთაგანს აკ-ლია.

კავკასიის მთლიანობა უშუალოდ გამომდინარეა მასში შემავალ წევრთა შეგნებისა და ეროვნულ მომზადებისა. ამას კი დრო, მტკიცე სურვილი და მუყაითი მუშაობა სჭირდება. სანამ თვითეული ჩვენთა-განი წარმოადგენს ინტერნაციონალების საცდელ მინდორს, სანამ ურა პატრიოტიზმი არ დაუთმობს ადგილს გონიერ ნაციონალიზმს, ჩვენ ვერ მივაღწევთ ვერც ცალკეულ მიზნებს და ვერც აუცილებელ მორალურ მთლიანობას მეზობელთა შორის.

ორმოცი წლის მწარე გამოცდილებამ გვაჩვენა რომ ამის ხელის შემშლელი მუდამ სწორედ შინაური და გარეშე ინტერნაციონალური

ძალები გამოდგნენ, რომელნიც თითქო სწორედ ამის ხელის შემწყობნი უნდა ყოფილიყვნენ.

დღეს, ეროვნულ გალვიძების ხანაში, ერთსა და მეორესაც ერთი გზა დარჩენია — გზა ბენეშისა.

გ. ჭავიაშვილი

დიდი სახელმწიფონი

ტრალიულ ატმოსფერაში მიმდინარეობდა ევროპის ცხოვრება უკანასკნელ ხანებში. ათასი შიშის აღმძვრელი ხმები გავრცელდა. დაძინებისას, ადამიანს შეიძლება ეფიქრა, რომ ვამოილვიძებდა უკვე ომიანობისას. ეხლა ხომ არაა საჭირო ომის გამოცხადება, იგი მოულოდნელად იწყება.

მაგრამ რა არის მიზეზი ასეთი დაჭიმულობისა? არსებობს თუ არა აუცდენელი მიზეზები მსოფლიო სისხლის ღვრისა, რომელიც, ეხლანდელი ტექნიკის მიხედვით, გაცილებით უარესი იქნება იმაზედ, რაც წარსულ ომში მოხდა მთელი ოთხი წლის განმავლობაში?

სუდეტ გერმანელთა მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში? ასეთი თუ ისეთი საზღვრები ამ რთულ და ხელოვნურ სახელმწიფოსი, ვერსალისა და სხვა ხელშეკრულებათა ავტორებმა რომ შექმნეს?

ნუთუ ეს ისეთი დიდი ამბავია, რომ ჩეხოსლოვაკიის „სტატუსქვოს“ უნდა შეეწიროს კაცობრიობის სიმდიდრე, კულტურა, მშვიდობიანი განვითარება და ათეული მილიონი საუკეთესო, ჯანსალი, რჩეული ახალგაზრდობისა?

აი, რამ ჩააფიქრა პასუხისმგებელი პოლიტიკური ხელმძღვანელები; რამ გააფრინა პირველად სამოცდაათ წლიანი მოხუცი, სულით და ხორცით ძლიერი ჩემბერლენი, კონტინენტის სილრმეში. „ჩვენი კეთილი მოხუცი ჩემბერლენი!“

და მსოფლიომ თავისუფლად ამოისუნთქა. ქარიშხალს ამოვარდნა არ დასკალდა. რწმენით ღვთიურ განგებისადმი, ლოცულობდნენ მორწმუნენი ყველა ტაძრებში და ურწმუნონიც მიხვდნენ, რომ აღარ იქნება, ინციდენტი ამოიწურება აღგილობრივ და გამოინახება საშუალება მსოფლიო სასაკლაოს აცდენისა.

მაგრამ სადაა ძირეული შეცდომა ევროპიული პოლიტიკისა, რომლის გამო თითქმის ყოველი სადაო საკითხი ცალკე სახელმწიფოსი, ადგილად იწვევს გამწვავებას მსოფლიო საშიშროებამდე? ნუთუ ევროპიელ კულტურულ ერებს, მის ხელმძღვანელ დიდ სახელმწიფოთ, არ შეეძლებათ გამონახონ დაახლოვების გზები და დაუპირდაპირონ ხელოვნურ იდეოლოგიურ ბლოკებს, ბუნებრივი მისწრაფება მშვიდობიან გადაჭრისაკენ ძირითადი საკითხებისა საერთაშორისო პოლიტიკაში?

ჩვენ ვფიქროთ რომ ეს ამოცანა დაუძლეველი არ არის.

**

მორქმული და უპრიანად ამაყია დიდი ბრიტანეთი. ყველა ოკეანეზე, ზღვაზე, ნავთსადგურებში, სრუტეებსა და არხებში ამაყად ფრიალებს მისი დროშა, როგორც სიმბოლო ძლიერებისა და მორქმულობისა; მდიდარია მისი სახელმწიფო საჭურჭლე; კარგად და მაძლრად, თბილად და კმაყოფილებითა სცხოვრობს ყოველი ინგლისელი მსოფლიოს ყველა კუთხეში, საცა მისი საქმე ან ოჯახი არის. ყოველი ინგლისელი უზრუნველყოფილია თითონ და ჩამომავლობისათვისაც კეთილდღეობით. კმაყოფილება ერთნაირად უწევს ყველა ფენებსაც საზოგადოებისა და ხშირად ვერც კი იტყვი გარეგნობის მიხედვით, თუ რომელ კლასს ეკუთვნის.

მორქმულია და ამაყობა შეუძლიან თავისი მდგომარეობითა და წარსულით, მომხიბლავი და სიცოცხლით სავსე საფრანგეთი. მრავალსაუკუნოვანი, სახელოვანი ისტორია აქვს, სავსე გამარჯვებათა რიგით, როგორც მშვიდობიან ისე საომარ ასპარეზზედ. პარიზი — ეს ნამდვილი ქალაქი-მნათობია, საუკუნოებით არ დაუკარგავს შარავანდედი, ერთერთი ცენტრია მსოფლიო ცივილიზაციისა, ქალაქი მჩქეფარე სიცოცხლისა, მეცნიერებისა, ხელოვნებისა. საფრანგეთს შეუძლიან აიტანოს შინაგანი პოლიტიკური გამწვავებანი, ასეთია მისი თავისუფლების მოყვარე ტრადიცია. მან იცის რომ გაჭირვების დროს, ყველა დავა დავიწყებას მიეცემა, რომ ყოველი ფრანგი, როგორიც უნდა იყოს მისი მრჩამსი ან ანგარიში ეხლანდელ მთავრობასთან, გამოვა სამშობლოს დასაცავად და გამოიყვანს თავის უნცროს ძმებსა და შვილებს. და საფრანგეთიც ძალიან, ძალიან მდიდარია. მას უფლება აქვს იყოს უხვი, მას არ სჭირდება აღრიცხვა პურის ყოველი ლუქმისა, ძვლისა, კონსერვის ყუთისა. იგი ხუმრობს და ოხუჯობს, მისგან შორსაა აზრი, რომ ცხოვრება — ტრალედია.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საფრანგეთს, როგორც დიდ ბრიტანეთს, უჭირავს მსოფლიოში საუკეთესო კოლონიები და გზები უკეთესიცა აქვს — აფრიკის დიდი ნაწილი აქვე, გვერდზედ აკრავს. და როგორი საუცხოვო, მოსავლიანი ქვეყნები. კარგად და მაძლრადა სცხოვრობს საშუალო ფრანგი, შეუქმნია რა საუკეთესო მსოფლიოში ხელოვნება საჭმელისა, ჰარმონიული როგორც მუსიკა; არ შეუძლიან წარმოიდგინოს, თუ როგორ შეიძლება სუფრაზედ არ იყოს სიუხვე ხორცეულისა, მწვანეულისა, ყველისა, პურისა, კარგი ლიტრა წითელი ღვინისა. ბედნიერია, მდიდარია საფრანგეთი.

**

მაგრამ მშვენიერია, მასთან მომხიბლავი, მზიური იტალიაც.

რომი — აკვანია ევროპიული კულტურისა, თვით ევროპიულ შემეცნებისა ძლიერ სახელმწიფოსი, მტკიცე კანონიერებისა. ლათინური ენა იყო ენა ყველა მწიგნობარისა, მეცნიერების მსახურთა, საუკუნოე-

ბის გასწორივ; რომის იურისტების ჩაყრილია საძირკველი მთელი ჩვენი უფლება-შეგნებისა. ვენეცია, გენუა და სხ. მოვაჭრე ქალაქებმა საშუალო საუკუნოებში, შექმნეს მსოფლიო ვაჭრობა, აქამდის შემონახული ცნებათა და დაწესებულებათა რიგებით წარმოებისა, ვაჭრობისა და კრედიტის დარგებში. ხელოვნებაში — ესაა მუზეუმი სურათებისა და მარმარილოსი, ჰიმნი უკვდავი, ტკბილი იტალიური მელოდიებისა.

იტალია სცხოვრობდა სრული სიცოცხლით, სტკბებოდა სიამით, მას დაავიწყდა რომ ამ სიამეთ დაცვა სჭირია, რომ იგი დაქუცმაცებულია და უმწეო შეიარაღებულ და მებრძოლ მეზობელთა წინაშე. და აი, გაჩნდნენ პატრიოტები გამაერთიანებელნი, რომელთა ჯაჭვი და რიგი დასრულდა დიდი ბელადის წარმოშობით, რომელმაც წამოსწია იტალია პირველ რიგებში, ხელახლა შემოსა კეისართა მორჭმულობისა და სიდიადის სამოსელით და მიიღილდეს გაუთანასწორდეს კეთილდღეობით და სიმდიდრით ძლიერთ და მდიდართ.

მუსოლინის საქმე ჯერ დასრულებული არ არის, მაგრამ მან მაინც სთქვა, რომ აბაშეთის დაპყრობის შემდეგ, იტალია გადადის დაკმაყოფილებულთა მდგომარეობაში. ყოველ შემთხვევაში, მისი ეროვნული საზღვრები ჩამოყალიბებულია.

**

ახლა, როგორ მდგომარეობაშია და სამუდამოდ უნდა ყოფილიყო ვერსალის ხელშეკრულების ძალით, ასეთივე დიდი, მხოლოდ უფრო მრავალრიცხვანი და არა ნაკლებად ლირსეული კაცობრიობის წინაშე — გერმანია? დიდებული კულტურული წარსული, ძლიერი, საზღვაპრო ზრდა უკანასკნელ საუკუნის მანძილზედ, მაღალი ტრადიცია ამაყი ეროვნული სულისა და გამოცდილი სამხედრო ძალისა. გერმანიის წვლილი საკაცობრიო კულტურაში, დიდია; შეიქმნა იგი მონათესავე და ერთი ენის ტომთა ნაწილებისაგან, რომელთაც ცალკალკეც ჰქონდათ ნაირნაირი შემოქმედების ჰენია. უკანასკნელ ათწლებში არაჩვეულებრივა ჯავშანით შეიმოსა. დიდი ომის წინ გერმანიამ მსოფლიო ბაზარზედ მოიპოვა წარმოებისა და ვაჭრობის სივრცეები ოკეანეთა და ხმელეთზედ. ინიციატივის სული, ჩაფიქრებული გონიერი, მოძრავი კაპიტალი, ახალგაზრდული, გამბედავი პატრიოტიზმი — ყველაფერი ეს დისკიპლინით და შეთანხმებით ექვემდებარებოდა მიზანს, მოეპოვებია შესაფერი ადგილი სამშობლოსათვის, მზის ქვეშე.

განა შესაძლებელია ეფიქრათ, რომ ასეთი ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ ჩაიჭედებოდა ქალალზე დაწერილ განაჩენში, რომლითაც ნახევრად მშიერს, მოსაწყენს და უიმედოს უნდა ევლო დღიდან დღემდე? რომ შესაძლებელია დამონება ამ ამაყი, მოუსვენარი სულისა, ისეთივე დიდი ერისა, როგორნიც იყვნენ თვით შემქმნელნი ამ ახალი პირობებისა? რომ დადგება საათი, როცა კვლავ აღსდგება ეს მდევი და გაისწორებს წელსა?

აი, სად არის ძირითადი შეცდომა, რომელსაც დიდ ხანს ჯიუტად იცავდნენ და რომლის ცნობას ეხლალა ხვდებიან.

მორჭმულობა და სიმღიდრე დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის უდაოა, იტალია თითქმის გზაზეა თავის სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება-მოთხოვნილებაში, მაგრამ გერმანიას არ დაუსრულებია ეროვნულ შემოკრებისა და ძალთა გაერთიანების ეტაპიც. ნუ თუ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გერმანელი შეურიგდება სამუდამოდ, რომ იანგარიშოს ყოველი ნაკერი კარტოფილისა, ლუდის ყოველი ყლუპი, ყოველი უანგიანი ლურსმანი? რომ იყვეს ყველაზედ ღარიბი ერი ევროპაში, მომწყვდეული როგორც ციხეში, შეკვეცილი საზღვრებით და უფლება აყრილი საითმე გაიწიოს? რომ მუდამ დაემორჩილოს შეძახებას: ხელი იქით! რომ ყოველი ინიციატივა დაუმორჩილოს საერთო კონტროლს?

ვიდრე არ გამოიძებნება გზები და საშუალებანი, რომ ყველა ასეთ საკითხებში შეთანხმება მოხდეს ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის, — ქვეყანა მუდამ უამს, ყოველ დღე, ყოველ წუთს იქნება ისეთ დაჭიმულ მდგომარეობაში, შიშისა და ზარის ქვეშ, რასაც განვიცდით უკანასკნელ წლებში, უკანასკნელ თვეებში. და რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტად. ომის სუნი მუდამ იტრიალებს და მოსწამლავს ყოველი შემოქმედებისა და ნორმალური, მშვიდობიანი ცხოვრებისა და სიხარულის საშუალებას.

ამოტანა კი შეიძლება გადიჭრას, თუ მიუდგებით არა დაძალებისა, აკრძალვისა და ბრძანების გზებით, არამედ ნამდვილი სურვილით დიდი სახელმწიფოებისა — იყვნენ თანასწორნი, ეროვნული ცხოვრების დადგინებაში და განვითარების შესაძლებლობაშიაც.

ჩეხოსლოვაკიის საკითხი ერთი ფურცელთაგანია ახალი ისტორიის წიგნში, ჩვენ თვალწინ რომ იშლება. მისი გონივრული გადაწყვეტა მხოლოდ გავლენის სფეროთა გამიჯვნით შეიძლება დიდ ევროპიულ სახელმწიფოთა შორის, რომელზედაც დამოკიდებულია საკითხები ომისა და ზავის. რაღა თქმა უნდა ამაში დაინტერესებულნი არიან შუა ევროპის ყველა სახელმწიფონი, მაგრამ ჩვენ ეხლა ვლაპარაკობთ დიდ სახელმწიფოთა მორიგებაზედ.

როგორც ეტყობა, უკანასკნელი დღეების დაჭიმული კრიზისის შემდეგ, შეგნება, ჯერ ბუნდოვანად, მაგრამ მაინც შესამჩნევად — ამ გზას ადგება. დიდი სახელმწიფონი ევროპისა ერთად დაიწყებენ დიდი საკითხების გადაწყვეტას, ერთად არსებობისას, და არა მსოფლიო მუქარით ყოველ ცალკე შემთხვევაში, არამედ თანასწორუფლებიანი შეთანხმებით.

არის კიდევ ერთი, მეტად დიდი და დამახასიათებელი ნიშანი ნამდვილი და არა მხოლოდ მოჩვენებითი გამოფხიზლებისა: მოსკოვი სრულიად განდევნილია ევროპის დალაგებაზედ მომავალ მოლაპარაკებათა რიგიდან. მოსკოვს აღარც კი იგონებენ.

ჩვენ უკვე გვიხდებოდა ამაზედ ლაპარაკი „კავკაზის“ ფურცლე-

ბზედ. მოსკოვი იზოლიაციაში ექცევა ევროპიულ პოლიტიკის ხელ-მძღვანელთაგან, უფრო და უფრო შორს სწევენ ევროპის საქმეებიდან.

ალბად თითონ პრაგაშიაც მიხვდნენ, დარჩახეს თვალნათლივ, თუ რა ფასი აქვს მოსკოვის დაპირებათ და სამხედრო დახმარებას და მოსკოვს არ უყურებდა იგიც უკანასკნელ ხანებში. ეხლა ჩეხელები იძულებული იქნებიან, უკანა რიცხვით, შეიგნონ საბედისწერო შეცდომები, მეზობლებისაგან ჩამოშორებულ, ამპარტავან და გამომწვევ პოლიტიკისა.

და თუ ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპი დაიდება საძირკვლად ტერიტორიალურ ახალ გამიჯვნისა, მოსამართლედ კი არა, სასამართლოს სკამზედ უნდა დაისვას მოსკოვი, რომელსაც თავისი მზაკვრული და სისხლიანი უღლის ქვეშა ჰყავს ათეული მილიონობით დაპყრობილი და დამონებული ხალხი, რომელთაც ბუნებრივი და წმინდა უფლება აქვთ თავისი ბედი თითონ განაგონ. ევროპის აღმოსავლეთი — აი ის ტერიტორია, რომელიც აუცილებლივ მოითხოვს ახალს გადამიჯვნას. ევროპის ისტორიის ახალი ტომის ფურცლები, მხოლოდ იწყობენ ეხლალა გადაშლას.

და ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ, რომ ევროპის დიდი სახელმწიფონი, იპოვიან ბოლოს და ბოლოს საერთო ენას, რომ თანდათან, სკნობენ რა ერთმანეთის სწორუფლებიანობას, მორიგდებიან და საფუძველს ჩაუყრიან საერთაშორისო უფლებასა და წესიერებას ხანგრძლივის ვადით. იპოვიან ბოლოს და ბოლს საერთ ენას, რომ თანდათან, სკნობენ რა ერთმანეთის სწორუფლებიანბას, მორიგდებიან და საფუძველს ჩაუყრიან საერთაშორისო უფლებათა და წესიერებას ხანგრძლივის ვადით.

ვ. მ.

მიუნხენი და შენევა

ქალაქ მიუნხენში ერთმანეთს შეხვდნენ დემოკრატიული ინგლისის და საფრანგეთის პირველი მინისტრები და ტოტალიტარული გერმანიისა და იტალიის მეთაურნი.

ორი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე რეუიმი. ორი, ერთი მეორესთან შეუთანხმებელი დოკტრინა.

ერთის მხრით უწმინდესი დემოკრატიული მოძღვრებით ნასაზრდოები ნევილ ჩემბერლენი და იაკობინურ პრინციპებზედ და ტრადიციებზედ აღზრდილი ედუარდ დალადიე, და მეორეს მხრით, ანტიმარქსისტული ფალავანი, გერმანიის ფიურერი ადოლფ ჰიტლერი და ახალი რომაული დისკიპლინის მამამთავარი ბენიტო მუსოლინი.

სხვადასხვაობა რეუიმთა, მოძღვრებათა და პიროვნებათა შორის.

მიზანი ამ დიდი და ისტორიაში თითქმის უპრეცედენტო დარბაზობისა, — ვერსალის ხელშეკრულების წყალობით, ჩეხო სლოვაკიის საზ-

ლვრებში მოქცეულ გერმანელ უმცირესობის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა იყო.

ამ წერილის საგანს არ შეადგენს არც მიუნხენის დარბაზობის ორგანიზაცია და არც იქ მიღწეული შეთანხმების გარჩევა. ვსთქვათ მხოლოდ, რომ ზემოდ ალნიშნულ განსხვავებათა მიუხედავად, შეთანხმება მოხდა და ოთხთა დარბაზობამ, ომი და მისი საშინელებანი ააცდინა კაცობრიობას.

აღსანიშნავია ამ დიდ ისტორიულ მომენტში, ის მეტად შესანიშნავი გარემოება, რომ ტრადიციული ძველი დიპლომატიური წესი და ტექნიკა, უფრო ძლიერი და მიზანშეწონილი აღმოჩნდა, ვიდრე კოლექტიური ლაზლანდარობა და იმპროვიზაცია შვეიცარიის ტბის ნაპირად.

წარმოგიდგენიათ თუ რა მოხდებოდა, მიუნხენის დარბაზობის მაგივრად, ეს საკითხი ერთა ლიგის ახალ სასახლეში დაესვათ: ორატორთა გაუთავებელი რიგი ტრიბუნის წინ. დელ-ვაიო, მაღარიაგა, ტიტულესკო, ტატარესკო, კროფტა, ჰოდზა, ველინგტონ კუ, აბაშეთის წარმომადგენელი ხავარიატე და სხვა მრავალი. შემდეგ ერთმანეთის მოწინააღმდეგე რეზოლუციათა შეთანხმება „ა ლა პოლიტის“, ერთი სიტყვით, იმდენი დროს დაკარგვა, რამდენიც საჭირო იქნებოდა, რომ საკითხი ერთა ლიგის გარეშე გადაწყვეტილიყო.

ის, რაც ჩეხოსლოვაკია - გერმანიის კონფლიკტის საქმეში მიუნხენის დარბაზობამ ერთ დღეში გააკეთა, იტალია - აბაშეთის კონფლიკტში უენევის ორგანომ იმდენ ხანს ათრია, რომ აბაშეთმა სული განუტევა და რომაულმა ხმალმა ლიგის გარეშე გადასჭრა ეს კონფლიკტი. ზედმეტი არ იქნება დაუმატოთ, რომ აბაშეთის ბედი სულ სხვა იქნებოდა, რომ ტრადიციული დიპლომატიის გზით გადაეჭრათ ეს საკითხიც. ლავალი-ჰორის მაშინდელი შეთანხმება, უარყოფილი ლიგის ენტუზიასტების წყალობით, ამის საკმაო საბუთს იძლევა.

ამ მაგალითმა და მიუნხენის დარბაზობის დადებითად დამთავრებამ უკანასკნელი ლახვარი ჩასცა ერთა ლიგის პრესტიუს და მისი არსებობის მიზანშეწონილობას. ეს ჭირვეული მომაკვდავი მოულოდნელი მსხვერპლია მიუნხენის დარბაზობისა.

იმდენად, რამდენად ჩვენი გამომცემლობის პირობები ნებას მოგვცემენ, შევეცდებით გავარჩიოთ მიზეზები ლიგის ამ საბოლოო კრახისა.

ერთა ლიგა პირმშო შეილია ვუდრო ვილსონისა და ამერიკის დემოკრატიის იდეალისტური ფანტაზიისა. ისე როგორც ფრანგი მოაზროვნე უან-უაკ-რუსო, ვუდრო ვილსონი და ამერიკელი დემოკრატიის მამა-მთავრები დარწმუნებულნი იყვნენ აღამიანის ბუნების კეთილშობილებაში და, რადგანაც ერები ამ კეთილი ბუნების აღამიანთა კრებულს შეადგენენ, საჭიროა იმ უარყოფით მოვლენებთან საბრძოლ-ველად, რომელსაც განვითარება და ცივილიზაცია უნერგავს, შექმნა ერთი მსოფლიო ავტორიტეტისა და კაცობრიობის დიდის ენტუზიაზმით და ნება-ყოფლობით დამორჩილება ამ ავტორიტეტსათ.

სამარადისო ზავი, თხა და მგელი ერთად სძოვსო.
ეს პროექტი სამარადისო ზავისა და მსოფლიო ავტორიტეტისა წარედგინა ვერსალში შექრებილ ომის ლიკვიდატორებს.

ომის საშინელებანი კაცობრიობას თვალწინ ედგა. ძაძით შემოსილი მგლოვიარე დედები, თეთრი ჯვრებით შემკული ველები — ომის შემოქმედების საზარელ სურათს წარმოადგენდა.

არავის უფიქრია ისტორიაში ჩაეხედნა. არავის მოსვლია თავში რუსოს დიდი შეგირდების, ვერნიოს, რობესპიერის, დანტონის და მათი საქმის ბედზედ ჩატიქტებულიყვნენ; საერთაშორისო ძმობის მირაჟის განხორციელება იმპერატიულ აუცილებლობად ეჩვენებოდათ. გაბატონებული სლოვანი: „ნონ, უამე პლიუ სელა“ იყო. და „მსოფლიო ავტორიტეტი“, ეს დიდი იდეალისტური ფანტაზია, მოწინააღმდეგეს ვერ პოულობდა.

იყო მხოლოდ ერთი მოხუცებული; მისი ბიოგრაფია გვასწავლის, რომ მის ცივ გონებას იშვიათად ესტუმრებოდნენ გრძნობები. ის დაიბადა და აღიზარდა დიდ საერთაშორისო და სოციალურ კონფლიკტთა ეპოქაში. მისი კერძო ცხოვრების ზოგიერთმა დრამატიულმა ხანამ, რუსოს შეცდომანი დაანახვა. ადამიანებს კარგად იცნობდა, უან-უაკური კეთილი ბუნების ლეგენდის მაგივრად, ადამიანის ბუნების რეალობას სჭირებდა. ეს ადამიანი, საფრანგეთის პირველი მინისტრი უორუ კლემანსო იყო. ისტორიის ირონია სწორედ იმაშია, რომ ვერსალის კონფერენციაზედ, საზავო მაგიდას უსხდნენ იდეალისტი ვილსონი და რეალისტი კლემანსო.

„ბებერი ვეფხვი“, როგორც მას უწოდებდა საფრანგეთის ხალხი, ირონიულის ლიმილით ისმენდა ვუდრო ვილსონის კეთილშობილ ფანტაზიას და გონებაში ანგარიშობდა, თუ როგორი რეალური გამოყენება შეიძლებოდა ვილსონის სულიერი პირმშოსი. და სწორედ აქ არის ის პრაქტიკული და რეალური ფუნქცია, რომელიც კლემანსომ დაავალა ერთა ლიგას: ვერსალის ხელშეკრულების დარაჯობა.

გამოვიდა შემდეგი: ერთის მხრით, ფანტაზიორი ვილსონი, საერთაშორისო სამართლიანობის დამყარების უფლება მოსილადა ხდის ლიგას. მეორეს მხრით, რეალისტი კლემანსო: ვერსალის ხელშეკრულების დარაჯობას ავალებს; ხელშეკრულების მთლიანად, მისი სამართლიანი თუ უსამართლო ნაწილით. კლემანსომ კარგად იცის, რომ ლიგა ამ მოვალეობას ვერ შეასრულებს და ადრე თუ გვიან ამ თავის მოვალეობის დუალიზმს გადაჰყვება, მაგრამ ფიქრობს: საღამდინაც გასძლებს, გასძლებსო.

ერთა ლიგის დაარსების პირველ წლიდანვე ამ ორი მოვალეობის კონფლიკტი აშკარა შეიქმნა: საქართველო და კავკასიური ერები ითხოვენ ლიგის წიაღში თავის ადგილს, მათ სურთ მსოფლიო სამართლიანობის ავტორიტეტის მფარველობის ქვეშ მოექცნენ. უარი: „სიშორის გამო, ამ ქვეყნების დაცვა ძნელია“. პირველი ჩაქუჩი ლიგის უნივერსალობას. მანჯურიის პრობლემა: ჩინეთი თხოულობს, თანახმად

უენევის ორგანოს პაქტისა, დაცვას. ლიგა გზავნის კომისიას და მისი რეზოლუციით კმაყოფილდება; შედეგი? ჩინეთი ჰკარგავს მანჯურიას. აბაშეთი თხოულობს დაცვას იტალიისაგან, შედეგი? იტალია ხდება იმპერიად და ერთა ლიგის წევრი აბაშეთი ამ იმპერიის ნაწილი.

ერთა ლიგის ვილსონური მოვალეობა „საერთაშორისო სამართლიანობა“, განისვენებს უენევის სასაფლაოზედ — „კეთილი იყოს ხსენება მისი“.

უენევის ორგანო უფრო მტკიცე აღმოჩნდა თავის მეორე მოვალეობის დაცვაში, ე.ი. ვერსალის ხელშეკრულების დარაჯობაში. ავად თუ კარგად, მან მიუნხენის დარბაზობამდე უდარაჯა ამ ხელშეკრულებას. ლიგის დამსახურება აქ დიდი არ არის, ამ ხელშეკრულების დაცვა მრავალ ერთა პირად ანგარიშს წარმოადგენდა. ზოგიერთს ამ ხელშეკრულებამ თავისუფლება მოუპოვა და თან სხვებთან ერთად მეზობელის მიწა-წყალი წაართვა. ზოგიერთს, გუშინ კიდევ სხვის მონა-მორჩილს, პირველ ხარისხოვან სახელმწიფოს მაღა გაუხსნა. ერთნი ამ ხელშეკრულებაში მუდმივ მშვიდობიან და კმაყოფილ ცხოვრების საწინდარს ხედავენ, მეორენი, ზღვაზედ თუ ხმელეთზედ მათი ჰეგემონიის დაკანონებას. მაგრამ 1938 წელი ფატალური აღმოჩნდა ლიგისათვის: „საერთაშორისო სამართლიანობის“ პრინციპი დაეჯახა „ვერსალის ხელშეკრულების დარაჯის“ მოვალეობას. ორჭოფობის გაგრძელება შეუძლებელი იყო და ლიგაც სწორედ ამ კონფლიკტს გადაჰყვა თანა.

მოხდა ვერსალის ხელშეკრულობის იურიდიული (და არა უნილატერალური) ჩევიზია; მსოფლიო მოსამართლეს და ვერსალის ხელშეკრულობის დარაჯს ჭიუა არავინა ჰქითხა. ვერსალში შობილი ჭაბუკი გარდაიცვალა.

თუ ვინმესთვის საჭირო არის, მაქსიმე ლიტვინოვს ტრიბუნა სხვაგან მოუძებნონ და რუსულ ფაშას კოკაინის საწინააღმდეგო პოლიციას ლემანის ტბის ნაპირად აგებული სასახლე არა სჭირია.

მაგრამ, საინტერესოა, თუ რას „ფიქრობენ“ ამაზედ ბ.ბ. ევგენი გეგეჭკორი, გიორგი გვაზავა და ალექსანდრე ასათიანი, მათი ერთა ლიგის დამცველი ემიგრანტული საზოგადოებით.

დინარელი

პასუხი „კავკასიელ ჯეილისაგან“

ბ-6 უორდანიას „ხანდაზეულ“ კარისკაცე

ბ. რაფიელ ინგილო მეტად განურისხებია ჩვენი უურნალის თიბა-თვის ნომერში მოთავსებულ წერილს, სადაც მცირე საყვედური ვკად-რეთ ბ. უორდანიას და მისი პოლიტიკის თავგამოღებისათვის. ჩვენს, მის მიმართ მოკრძალებით მიმართვის საპასუხოდ, ბ. ინგილომ უკადრის ეპი-ტეტებით შემკული წერილი გვიძლვნა „დამ. საქ.“ მკათათვის ნომერში.

ცუდი მაგალითია, ბ. ინგილო, „ხანდაზმულისაგან“ — „ჯეილისათვის“. ხოლო მე სურვილი არა მაქვს თქვენს მკვახე კილოს მივბაძო. შევეცდები კი მარტივის ენით თქვენი ლაშქრობის ნამდვილი მიზეზი გამოვამულავნო.

თქვენი და ძმათა თქვენთა ჩვენს წინააღმდეგ წარმოებულ კომპანიაში, არაფერ შუაშია არც ჩვენი „თურქოფილობა“ არც ქართული ტერიტორიების გაბოძება და ამ ფაქტით ჩვენ მიერ ჩადენილი „დიდალატი“. ჩვენს სხვა და სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული წერილები და საბუთები ყოველთვის ნათელყოფენ თქვენს ბრელდებათა უსუსურობას. თქვენი და მსგავსთა თქვენთა ჩვენ წინააღმდეგ პატრიოტულ პოზაში დგომა, სულ მცირე, — უადგილოა.

დრო კი არის „ხანდაზმულებსაც“ გამოექვემდებარებათ ყური და სინამდვილის ანალიზით, საქართველოსათვის უფრო მიზანშეწონილი გზები ეძებნათ, მაგრამ ეტყობა, 1921 წლის კატასტროფის შედეგად საქართველოდან უცხოეთში გადმოხვეწილ ემიგრაციას, მოვლენათა ელვის სისწრაფით განვითარებამ დაუკარგა უნარი შექმნილ მდგომარეობის ანალიზისა და ეროვნულ უბედურების მიზეზების გამოკვლევისა.

ეროვნული კატასტროფა, ჩვენი გეოგრაფიის, და რუსეთ-საქართველოს ძალთა განწყობილების ფატალურ დასკვნად ესახებოდა ემიგრაციის დიდ უმრავლესობას. საქართველოს მარქსისტული მთავრობა, სინამდვილეში ავტორი და პასუხისმგებელი ამ ეროვნულ ტრაგედიისა, ემიგრაციას ჯერ კიდევ რაღაც ჯვარცმულ სიმბოლოდ მიაჩნდა. ფხზელი გონებით ფაქტების შეფასების უნარის მქონე ემიგრაცია იმ თავითვე გასწყვეტდა ყოველგვარ კავშირს და იზოლიაციას მოუხდენდა ჩვენი ქვეყნის მტრის ხელში მიმცემ მთავრობას. სინამდვილეში კი ამ მთავრობასთან კიდევ იწერება პაქტები და ამ პაქტებს ხელს აწერენ ე.წ. ეროვნული პარტიების წარმომადგენელნი.

დიდი დრო დასჭირდა ემიგრაციას, ამ საღათას წილიდან გამოსულიყო, ფატალიზმისათვის თავი დაეღწია და ჩვენი ერის ტრაგედიის ნამდვილ მიზეზებს ჩასწრებობიდა. ამ მხრივ, დაუფასებელი სამსახური ერთობ საქართველოს და კერძოდ ქართულ ეროვნულ ემიგრაციის აზროვნებას ბ. ზ. ავალიშვილმა გაუწია. თავის წიგნით „საქართველოს დამოუკიდებლობა“ მან უარყო ქართლის ბედის ფატალური უკულმართობა და, წარსულის განხილვით, მომავლის გზა გვიჩვენა. ბ-ნმა ზურაბმა ცხადჰყო მიზეზები ჩვენი დამარცხებისა, გამოააშკარავა დამნაშავენიც.

მოუსმინოთ თვით ბ-ნ ზურაბს: „საქართველოს მთავრობა, გამოსული რევოლუციიდან, იყო უფრო მეტად მთავრობად სოციალური დემაგოგიისა, ვიდრე ორგანოდ დემოკრატიული და ნაციონალური პოლიტიკისა. მას მართებდა და აღვილიც იყო გამხდარიყო აგეთი, მაგრამ ეს არ მოხდა“.

რადგანაც ეს არ მოხდა, ამ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკამ საქართველო დალუპა ... ბ. ზურაბ ავალიშვილის ულმობელ-

მა კრიტიკამ საქართველოს შემთხვევითი მართველები გაანადგურა, ხოლო ჩვენ, დანარჩენთ — მომავლის იმედი დაგვისახა.

ბ. ზურაბ ავალიშვილის მიერ მოცემულ ანალიზიდან პრაქტიკული დასკვნების გამოტანა, ქართულ ეროვნულ პარტიების მეთაურებს და პარტიების გარეშე მყოფ ქართველ ნაციონალისტებს ედოთ ვალად.

ეს მოვალეობა გულისხმობრა ქართული მარქსიზმის და მისი ემანაციის, საქართველოს მთავრობისა და ქართულ ეროვნულ ძალებს შუა ყოველივე კავშირის გაწყვეტას, ქართული ეროვნული ძალების ორგანიზაციულ გაერთიანებას და ერთ ახალ, გონიერ მეთაურობის შექმნას. ამ ახალ მეთაურობას უნდა გაებათილებინა საქართველოს დამარცხებული მთავრობა და თვით შესდგომობა ქვეყნის ბედზედ ზრუნვას. მკრთალი ცდები ასეთი პოლიტიკისა იყო კიდევაც 1925 წლიდან.

1925 წელს, ქართველი სტუდენტების ინიციატივით, არსდება პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“. ამ ახალგაზრდათა ორგანიზაციას თავიდანვე ფაშისტური ელფერი ეძლევა. ანტიპოდი ქართული მარქსიზმის, ეს ორგანიზაცია პირველ დეკლარაციითვე სასტიკ ბრძოლას უცხადებს მარქსიზმს, როგორც ანტიეროვნულ იდეოლოგიას. ეს ორგანიზაცია მაინც უნდა დამდგარიყო მარქსისტებთან ყოველივე კავშირის გაწყვეტის ნიადაგზე. მაგრამ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა მარქსისტებთან მთლიანობის შემცდარი ტრადიცია, რომ ვერც ეს ორგანიზაცია განთავისუფლდა იმთავითვე ამ სენისაგან. ამ ორგანიზაციის ინიციატივით მოწვეულ იქმნა ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიების ახალგაზრდობის კრება, სადაც დაიწერა მემორანდუმი უფროსებისადმი ერთ ეროვნულ პლატფორმაზე გაერთიანების მოწოდებით. ამ სტრიქონების დამწერი აღიარებს, რომ მასაც უწერია ხელ იმ მემორანდუმზე, თ. გიორგის სახელით.

როგორც ხედავთ, ემიგრაციის ეროვნული ბანაკი, გატაცებული ეროვნული მთლიანობის მისტიკით, ჯერ კიდევ გრძნობებს ემორჩილება, ცივი გონების კონტროლი არა სჩანს. ამ ბანაკს კიდევ უნდა დაიჯეროს მენშევიკობის ეროვნულად მონათვლის შესაძლებლობა და ამ პირობით კიდევ მთლიანობის იდეას იცავს, მენშევიზმთან ახალ ურთიერთობის დამყარებით კმაყოფილდება. რამდენადა სცდებოდა ჩვენი ბანაკი მენშევიკების მორჯულებაზე იმედის დამყარებით, ამას, საბედნიეროდ, ისევ მენშევიკები გვიმტკიცებენ.

1924 წლის აჯანყის შეფასების მიზნით გამოცემული ბ. უორდანიას ბროშურა „რა მოხდა“ და საქართველოში გაგზავნილი ცნობილი „სადირექტივო“ წერილები ბრძანებით: „არ გააჭაჭანოთ“, აშკარად ჰყოფენ მენშევიკურ ანტიეროვნულ უცვლელ ბუნებას.

ამ დღიდან ყველასათვის ნათელი გახდა მენშევიკობასთან რადიკალური გაწყვეტის აუცილებლობა. ეროვნული ბანაკიც პირობითი ოპოზიციიდან, მენშევიკებთან შეურიგებელი ბრძოლის პოზიციებზე გადადის. ევროპაში დაწყებული პოლიტიკური აზროვნების ევოლუციაც ამ კარდინალურ გარდატეხას ხელს უწყობს.

მენშევიკობასთან დამოკიდებულების რადიკალურ გადაფასებას არ მოჰყვა, აქედან ლოლიკურად გამომდინარე, ქართულ ეროვნულ ძალების მთლიანობა. გაერთიანების ნაცვლად, ეროვნული ოპოზიციური ძალები უფრო მეტად ნაწილდებიან. ოთხ-ხუთ კაციანი ჯგუფების დაარსება ეროვნულ ემიგრაციის მანიად იქცევა. საქმე იქამდისაც მიღის, ერთი ჩვენი თანამემამულე, მარტოდ, საკუთრივა სწერს, ბეჭდავს და, მგონი კითხულობს კიდეც თავის გაზეთს.

მართალია, ყველა ამ ჯგუფებს და ჯგუფთა ნაგლეჯებს ერთი საერთო მიზანი ჰქონდა: გაბათილება ბ. უორდანიას „ეროვნულ ფრონტისა“, გაბათილება ბ-ნ უორდანიას პოლიტიკისა და მისი შეცვლა ქართული ეროვნული პოლიტიკით. ასეთ მიზნის მიღწევას, რასაკვირველია, ვერ შესძლებდა დანაწილდებული ემიგრაცია. ბოლოს გაერთიანების საჭიროებაც თითქოს შეიგნო ეროვნულმა ბანაკმა.

ამ მიზნით, თითქმის თორმეტი წელი ამ ჯგუფთა შორის პერიოდული მოლაპარაკება სწარმოებდა. შედეგად ამ დაუსრულებელ ლაპარაკს არაფერი მოუკია.

სურათები ყველა ასეთ დაუსრულებელ საუბრებისა მეტად არა სასიამოვნო მოგონებად დარჩებათ მის გულწრფელ და დაუინტერესებელ მონაწილეთ: გარდა ზოგიერთ ძნელად გასაგებ, მაგრამ მაინც შესანდობ მიზეზებისა, მთავარ ხელისშემშლელ მიზეზად ჯგუფური და პიროვნული ამბიციები იყო. გაერთიანება ყველასა სურდა, მხოლოდ საკუთარი დროშის ქვეშ. განთავისუფლებულ საქართველოში გეგემონი ჯგუფის მეთაური თეთრი ცხენით უნდა შესულიყო. ასეთ უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართული ეროვნული ემიგრაცია, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა ქართულ-კავკასიური დასი. ამ დასის მეთაურების ვინაობის ცოდნა საკმარისს საწინდარს იძლეოდა მომავლისათვის. ქართულ-კავკასიურ საქმეს გონიერი მეთაურობა გაუჩნდა. ბ. ზ. ავალიშვილი, საქართველოს რეაბილიტაციის მომხდენი, მის მეგობრებთან ერთად, ეხლა უკვე ჩვენს ეროვნულ მისწრაფებათა პრაქტიკულ განხორციელების გზების ძებნას შეუდგა.

ამ ჯგუფის მუშაობა, დაწყებული ოთხი წლის წინად, 1937 წელს მძლავრად გაიშალა. საკვირველი არ არის რომ ეს ჯგუფი თავიდანვე დაუპირდაპირდა, ბ. ზ. ავალიშვილის მიერ 1924 წლიდან მხილებულ ბ. უორდანიას ბანაკს. აქ, ეროვნული პოლიტიკა უპირისპირდება ანტიეროვნულს. გონიერი და ტრადიციული ეროვნული წრე, უგუნურ და უტრადიციონულ მარქსისტულ მთავრობას. ამ ჭიდილში, საქართველოს განთავისუფლების ნიადაგის მომზადებით, პირველმა უნდა გაიმარჯვოს, მეორე უნდა დაილუპოს.

ეს დაპირისპირება ბუნებრივი, ლოლიკური და კანონიერია. აქ ჩვენი წრე საქართველოს იცავს და ამ მიზნისათვის მარქსიზმის აღმოფხვრას ლამობს. ეს უკანაკნელი კი ყოველივე საშუალებას მიმართავს — ფერსაც იცვლის — თავის პოზიციების შენარჩუნებისათვის. ქართუ-

ლი მარქსიზმი კვლავ ერის სათავეში მოქცევას ცდილობს, რომ კვლავ ახალი უბედურება დაატეხოს.

საკვირველი კი ჩვენთვის ამ ორ ძალთა დაპირისპირებაში ზოგი-ერთ ქართულ ჯგუფთა პოზიცია ხდება. ბუნებრივი იქნებოდა, რომ დაქუცმაცებული ქართული ეროვნული ჯგუფები ჩასჭიდებოდნენ ამ ძლიერ ქართულ-კავკასიურ ახალ წრეს და მის გარშემო მოეყერათ თავი. ეს იქნებოდა ბუნებრივი დასასრული 12 წლის წარმოებულ გა-ერთიანების ცდებისა და თან ქართული საქმის სიყვარულის საქმით დამტკიცება. სინამდვილეში კი ჩვენ სულ სხვა მოვლენასა ვხედავთ.

როგორც თქვენ, ბ-ნო ინგილო, „მუდამ განზე მდგომმა“ დაარ-ღვიეთ სიჩუმე და გაშმაგებით ჩვენ თავს დაგვესხით, ისევე სხვებმაც „კავკაზის“ ჯგუფზე უმგვანო ლაშქრობა დაიწყეს და ისინიც თქვენ-სავით ნ. უორდანიას აშკარად თუ ფარულად გვერდს ამოუღგნენ.

საქართველოს დაცვით დასაბუთებული, უორდანიას ბანაკთან რა-დიკალური გაწყვეტის პოზიციებიდან, ზოგიერთები 1925 წლის პირო ბითს ოპოზიციას უბრუნდებიან. ჩვენ არ გაგვიკვირდება რომ ამ ჯგუ-ფებმა სულ ახლო მომავალში უკვე ოფიციალურად თქვენს გვერდით ამოყონ თავი. ასეთი დასკვნის გამოტანას გვიაღვილებს ამ ჯგუფთა სულიერი განწყობილების წერითი გამომულავნება. მაგალითისათვის, აი რას ვკითხულობთ ახალგაზრდათა ერთ უურნალში, რომელიც თა-ვის თავს უურნალ „სამშობლოსათვის“ და „საქ. გუშაგის“ წიალიდან გამოსულად აცხადებს: „მომავალი გვიჩვენებს, ბ-ნი უორდანია პარტი-ული დოგმით გაყინული პიროვნებაა, თუ პირიქით, ერის მიერ მოწო-დებულ მეთაურის სახელს მოიხვევს. ამის და მიხედვით დააფასებს მას მომავალი საქართველოს ისტორიის მიუდგომელი სამსჯავრო“-ო.

დამეთანხმებით, რომ ამ პოზიციას „საქ. გუშაგის“ პოზიციასთან არაფერი აქვს საერთო. ეს დაახლოებით 1925 წლის უურ. „სამშობლო-სათვის“ წააგავს. რამდენად მართებულია ამ ახალგაზრდების პრეტენ-ზია და რამდენად იზიარებს თვით ზემდ ნახსენებ ორ ორგანოთა ხელმძღვანელი, ახალგაზრდობის ამ ახალ პოზიციას. უკეთ რომა ვსტკვათ, ძველ, 1925 წლის პოზიციებზე უკან დაბრუნებას, ჩვენ არ ვიცით. გაზეთი „თეთრი გიორგი“ ჩემი ყოფილი უფროსი პოლიტიკუ-რი მეგობრის ხელმოწერით, დაახლოებით იმავე აზრებს გამოსტკვამს.

ეს უკან დახევის ნიშნები, საკმარისად მიგვაჩნია ზოგიერთ ეროვ-ნულ ჯგუფთა საღ გზაზე შემდგარ ქართულ ეროვნულ პოლიტიკის უკან დაწევის სურვილის მაჩვენებლად.

ბ-ნ უორდანიასთან და ქართულ მარქსიზმთან გაწყვეტილი კავ-შირის კვლავ აღდგენის სურვილი სხვაგვარ დაფასებას ვერ ჰპოვებს. რა მოხდა? რამ გამოიწვია ნ. უორდანიას მიმართ პოზიციების შეცვლა და, ამასთან პარალელურად, ჩვენს წინაღმდეგ სასტიკი გამოლაშქრე-ბა? ვითომლაც მიზეზად თქვენი და თქვენ თანამებრძოლების ერთის შეხედვით უცნაური მოქმედებისა; დასახელებულია ჩვენი თურქოფი-ლობა, ტერიტორიების გაფეშქეშება, ერთი სიტყვით, ჩვენი „დიდი

ღალატი". მაგრამ სასაცილო მდგომარეობა ამ ყველა ჯგუფებისა და თქვენიც ბ-ნო ინგილო, იმაშია, რომ სწორედ სამხრეთის საზღვრების შესახებ დამტკიცდა სრული იდენტიურობა ბ. უორდანიას და ჩვენი პოზიციისა. ჩვენ ამის შესახებ ბევრი ვწერეთ, უკანასკნელად ბ. უორდანიას თანამოპაქტეს ბ. რასულ-ზადეს ნაწერებიც გამოვაქვეყნეთ.

ჩვენ ბ. უორდანიას წრიდან ამის უარყოფა არ მიგვიღია. არც თქვენ და არც თქვენ თანამებრძოლთ უორდანიასათვის საყვედურიც არ მოგიხსენებიათ, ჩვენზედ კი, პასიურიდან აქტიურ ფრონტისტად გადაქცეული, განაგრძოლთ თავდასხმებს.

გზა-კვალ აბნეული ერთი აქაური უურნალი, ჩიხში მომწყდეული, თავის დაძვრენას ლამობს რასულ-ზადეს კრიტიკით, ხოლო ბ-ნ უორდანიას დიპლომატიურად მაინც ხელს აფარებს. რა უნდა ვითიქროთ ამის შემდეგ, თუ არა ის, რომ თქვენი და ყველა ამ რედაქტორუურნალისტების ჩვენზედ ლაშქრობა, პატრიოტული პოზა, რომელსაც რაღაც უმსგავსოების დამალვა სურს. ეს უმსგავსოება კი ჩვენთვის, ღვთისა და სინიდისის წინაშე, მხოლოდ ისევ იმ თეთრი ცხენის ამბავია.

აი, ბატონო ინგილო, ნამდვილი მიზეზი ყველა თქვენი ყალიბის „ხანდაზმულ“ და „ჯეილთა“ ჩვენ წინაამღდეგ ლაშქრობისა.

ჩვენ საქართველოში თეთრი ცხენით შესვლაზე არა ვფიქრობთ. ჩვენი იმედი ის არის, რომ თეთრ ცხენიანი სწორედ იქ დაგვხვდება, ჩვენი სურვილი კია გვეღირსოს მის წინაშე მოვალეობა მოხდილი, პირნათლად წარვსდგეთ.

ჩვენ არ გამოვედავებოდით და არც ყველა დანარჩენების საქართველოში თეთრი ცხენით შესვლის სურვილს, რომ თქვენი უმწეობის შეგნებულნი ბ-ნ უორდანიასათვის არა კაზმავდეთ ამ ცხენს, იმ იმედით, რომ თეთრი ჯორით მაინც შესძლებთ მის უკან გაყოლას.

ეხლა მიხვდებით, ბატონო ინგილო, თუ რად დავსტოვეთ უპასუხოდ თქვენი ორი წერილი და პასუხი კი გავეცით თქვენს „ფრონტოუნიკო“ში დაბეჭდილ აპოლოგიას. დიალაც რომ თქვენი ასეთი ქცევით და ნ. უორდანიას „საქართველოს პირველი მოქალაქის“ აპოლოგიის წერით ჩვენ ქვეყანას ზიანს აყენებთ და მის წინაშე გაუსწორებელ დანაშაულს სჩადიხართ. დანაშაულს სჩადიან ისინიც, ვინც, თქვენსავით უბადრუკნი, თეთრი ჯორის პრობლემით დაინტერესებულნი „მორჯულებულ“ ნ. უორდანიასთან ეროვნულ ფრონტის დაარსებაზე ფიქრობენ....

 **
 **

დასავლეთ ევროპაში მოვლენათა განვითარება ჩვენ იმედებს აღვივებს. მიუნხენში მოშხდარი ევროპის დაზავება, ბოლშევიკურ რუსეთის სრული იზოლიაციის დასაწყისია. ომით განადგურებულ ევროპის დაპატრონების იმედები ბოლშევიკურ რუსეთს გაუცრუვდა. მართალია, ჯერ კიდევ კარგა ხანი გაივლის, სანამ მიუნხენს სრული და

საბოლოო შეთანხმება მოჰყვება. ჯერ ბევრი სადაო საკითხები აქვს დასაძლევი ევროპას, მაგრამ ზავისა და ამით ევროპის კულტურის გა-დარჩენის სურვილი ამ შეთანხმებას აუცილებლადა ხდის. ხოლო ამ შე-თანხმების საფასურს ოუსეთი გაიღებს. შესაძლებელია, ამ საფასუ-რის გაღების მომენტი რუსეთისათვის არც ისე შორეული იყოს.

ყოველდღიურ ბრძოლაში ჩაბმული ქართველი ხალხი, დახმარე-ბის მიღების იმედით, ევროპისაკენ იყურება. ჩვენ მას ეს იმედი არ უნდა გაუმტკუნოთ, ევროპის დახმარება რეალური გავხადოთ, რო-გორც ეს იყო ოცი წლის წინად.

ვინ უნდა იყოს ის პირი თუ დასი, ვინც ქართულ-კავკასიურ საქმის გამარჯვებას აქ ნიადაგი მოუმზადოს. თქვენის რეცეპტით ეს პირი „საქართველოს პირველი მოქალაქე“, ბატონი უორდანიაა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ბ-ნ უორდანიას საქმის მხლოდ წახდენა შეუძლია. ბ. უორდანიას წარსულ სახელმწიფო მოღვაწეობას კარგად იცნობენ ქარ-თულ-კავკასიური საკითხით დაინტერესებული ევროპიული წრეები. მას ამ წრეებში ყოველივე ნდობა დაკარგული აქვს. იმ ქვეყნის ბედი, რომელსაც ასეთ სახელგატებილ კაცის მეტი არავინ აღმოაჩნდება პა-ტრონად, ვერავის დააინტერესებს. ბ. უორდანია მარქსისტია. ევროპის დამშვიდებას და მასთან დაკავშირებით რუსეთის საკითხის გადაწყვე-ტის ანტიმარქსისტული იდეოლოგია ედება სარჩულად. მარქსისტ და ქართველ სტალინის წინააღმდეგ მარქსისტ უორდანიას არავინ დაეხმა-რება. თქვენ ისეთ ქალაქში სცხოვრობთ, ბ-ნო ინგილო, რომ ყველა-ფერი ეს ჩვენზედ უკეთ მოგეხსენებათ. ეს კარგად ესმოდათ იმათაც, ვინც თქვენ აქედან დღეს ბანს გაძლევთ.

თეთრი ჯორის პრობლემით დაინტერესებულებმა, დღეს თქვენ საქართველოს ინტერესები დაივიწყეთ. ამიტომ განმეორებით მოგახ-სენებთ, რომ თქვენ დღეს ზიანს, ზიანს შეგნებულს აყენებთ საქართ-ველოს. ჩვენ კი საქართველოს მარადიულობის მწამებელნი, დაინტე-რესებულნი ჩვენი ქვეყნისადმი სამსახურით, შეგნებულად მივყვებით „კავკაზის“ ჯგუფში თავმოყრილ ქართველობას. მხოლოდ ამ ახალ და გონიერ მეთაურობას შეუძლია პირნათლად შეასრულოს ემიგრაცია-ზედ დაკისრებული მოვალეობა. მათ, ბ. უორდანიასავით ნდობა და-კარგული არა აქვთ და საქართველო - კავკასიის ბედის გადაწყვეტის უამს მათ არც ერთი კარი დაკეტილი არ დახვდებათ. თქვენი დემაგო-გიური გამოსვლის მიზეზი დღეს ყველასათვის აშკარა ხდება. მომავა-ლიც მას შესაფერად დააფასებს. ემიგრაციის სალი ნაწილი ახალ მეთა-ურობას გაჰყვება, და ყველა შეძლებისამებრ თავის ვალს მოიხდის ქვეყნის წინაშე.

თქვენ კი დაგრჩენიათ სათანადოთ ჩაუფიქრდეთ ბ. ზურაბ ავა-ლიშვილის წიგნის ბოლოსიტყვაობას, რომელიც ჩაუფიქრებლად და მისთვის ჩვეული სიმჩატით „ქართლოსის“ რედაქტორმა უკანასკნელ უმგვანო გამოსვლას წინ წაუმძღვარა. ჩემი შენ გითხარიო...

საქართველოს ბედის გადაწყვეტის უამს თეთრი ჯორის პრობლე-
მაზე თავის მტვრევას სხვა რა ეწოდება თუ არა სულმოკლეობა.
საქართველო კი უთქვენოდაც თავის მიზანს მიაღწევს.

გიხეილ კედია

P.S. ეს წერილი დასაბეჭდათ გადაცემული გვქონდა, როდესაც
ხელთ ჩაგვივარდა ზემოდ ნაგულისხმევ ახალგაზრდობის უურნალის
უკანასკნელი მეთერთმეტე ნომერი.

ჩვენ უყურადღებოდ დავტოვებდით ყოველ რიგიან უურნალისა-
თვის მიუღებელ ტექსტებით უონგლიორობას. ვისაც ჩვენი „კავკასიის“
4—11 ნომერში დებეჭდილი „ქართველ ნაციონალისტთა შეცოდება-
ნი“ წაუკითხავს, თვით დარწმუნდება ამ ახალგაზრდათა უურნალის
ურიგობაში. უყურადღებოდ დავტოვებდით შვიდი „თვით დაგვიანე-
ბულ და ისიც ჩვენ მიერ დასმულ საკითხით გამოწვეულ რასულ-ზა-
დეს კრიტიკას, რომელიც, საკვირველებავ, გამოყენებულია ისევ მენ-
შევიკებისადმი მეგობრულ კილოს დასაჭერად და მათთან დარღვეულ
მთლიანობის კვლავ აღდგენის სურვილის გამოსამუღავნებლად.

ხოლო ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი გულისწყრომა არ გამოვსთქვათ
ამ უურნალში მოთავსებულ პროვოკაციულ წერილზე „ფრონტილად“.
ნუ თუ შეიძლება „თეთრი ჯორის“ პრობლემამ ისეთნაირად დააბრმა-
ვოს ადამიანები, რომ ერთი ნაწილი მომქმედ ქართველებისა და ამით-
ვე მთელი საქართველო დაასმინოს და ისიც რაღაც ფანტასტიურ
„მიღებულ ცნობებით“ დასავლეთ ევროპის ორ დიდ იმპერიის წინა-
შე. ბარაქალა თქვენს პატრიოტობას.

მართლაც რომ ფრთხილად ბატონებო. გაბოროტებამ და შურმა
ქვეყნის სამსახურის მაგივრად, ქვეყნის ლალატამდე არ მიგიყვანოთ.

გ. კ.



ჩემს გრალებები

უურნალი „სამშობლო“ ეხება რა ჩემ მიერ ბ. ასათიანის კონფერე-
ნციაზე გაკეთებულ მოხსენებას „ეროვნული ფრონტის“ პრობლემის
შესახებ, ამახინჯებს, რასაკვირველია, მის შინაარსს. მართალია, მე პრი-
ნციპიალურად წინააღმდეგი არ ვიყავი ამ ფრონტში მონაწილეობისა,
მაშასადამე მენშევიკებთან თანამშრომლობისა, მაგრამ ჩემს მოხსენე-
ბიდან ნათლადა სჩანდა, რომ ჩემი გაგება თანამშრომლობისა ძირფე-
სვიანად განსხვავდებოდა იმ სახის თანამშრომლობისაგან, რომელსაც
ბ. ასათიანი აწარმოებს. თანახმად ჩემი მოხსენებისა, ეს თანამშრომლო-
ბა საჭირო იყო არა იმისათვის, რომ ქართველ ერს გააბეღნიერებდა ან

გაანთავისუფლებდა, არა იმ მიზნით და იმედით, რომ მენშევიკები თავის ბუნებას უღალატებდნენ და ეროვნულ დემოკრატები გახდებოდნენ — მენშევიკებმა ათასჯერ რომ ხელი მოაწერონ ამაზე, ათასჯერვე დაარღვევენ ასეთ ხელშეკრულებას. მხოლოდ, ვინაიდან მენშევიკები, მიუხედავად კომუნისტებთან სულიერი ნათესაობისა, ქართველ კომუნისტების მტრები არიან, ეს გარემოეა ჰქმნის უკვე შესაძლებლობას საერთო ამოცანებისას. კოეფიციენტი კი ამ შესაძლებლობისა ცვალებადია იმის და მიხედვით, თუ როგორია საერთაშორისო განწყობილება. შეიძლება ეს კოეფიციენტი მატულობდეს, შეიძლება კლებულობდეს; ფაქტიურად იგი მუდამ კლებულობდა. როდესაც ეს კოეფიციენტი შესაძლებლობისა, შედარებით მაღალი იყო, ესე იგი როდესაც ის ფაქტორები, რომელზედაც მენშევიკები იმედებს ამყარებდნენ ძლიერნი იუვნენ და ბოლშევიკების საერთაშორისო მდგომარეობა სუსტი, მაშინ ბ. ასათიანი გაუწყრა მენშევიკებს, ვინაიდან მათ ბ. ასათიანს გულუბრყვილო ილუზიები გაუქარწყლეს: მენშევიკები მენშევიკებად დარჩენ და არა ეროვნულ დემოკრატებად გადაიქცნენ, და ის მათთან თანამშრომლობის სასტიკ მოწინააღმდეგედ გამოვიდა. მხოლოდ როცა მენშევიკების მუშაობას ევროპაში ყოველგვარი ნიადაგი გამოეცალა, როცა მათთან თანამშრომლობა შეიძლებოდა მხოლოდ უბრალო საინფორმაციო და საქველმოქმედო მიზნით, ბ. ასათიანი გახდა ჩემპიონი მენშევიკებთან თანამშრომლობისა და ამ საქმეს, უკეთ რომ ვსთქვათ, უსაქმობას, უმსხვერპლა იდეა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთლიანობის აღდგენისა. მაშასადამე შექმნა თვით იმ სუბიექტის, რომელსაც უნდა ეთანამშრომლნა, თუ ასეთ თანამშრომლობას ეს სუბიექტი, აღდგენისას, საჭიროდ დაინახავდა. სწორედ ამ სახით იყო ჩემ მიერ საკითხი დაყენებული. მე მოვითხოვდი პარალელურ ცენტრის შექმნას, რომელშიც მოთავსებული იქნებოდა ყველა ფორმები კონსტრუქტიული მოძრაობისა, მაშასადამე შექმნას ისეთი ცენტრისას, რომელიც იქნებოდა არა მარტო ნეგატიური ხასიათის ცენტრი, ცენტრი ანტიკომუნისტური, არამედ ცენტრი ანტიმარქსისტული — ამოცანა, რომლისათვისაც მენშევიკების მონაწილეობით მომქმედი ანტიკომუნისტური ცენტრი გამოუსადეგარი იქნებოდა; — ეროვნული საქმე ევალებოდა ამ პოზიციურ, კონსტრუქტიულ, ანტიმარქსისტულ ცენტრსა. უურნალი „სამშობლო“ კი არწმუნებს მკითხველს, თითქოს მე მთავარ ფაქტორად სწორედ ამ მენშევიკურ ფრონტს ვთვლიდი და არა, მაშასადამე კონსტრუქტიულ, ანტიმარქსისტულ ფრონტს.

მენშევიკურ ეროვნულ ფრონტში მონაწილეობის საკითხი მე დაუკავშირე საკითხს პარტიის ფინანსიურ პოლიტიკისას და სხვანაირად არც შეიძლებოდა.

როდესაც ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ლიდერი გაუწყრა მენშევიკებს და მოსთხოვა მოხუც ქართველ მოღვაწეთ, ვითარცა პარტიის წარმომადგენელთ დაეტოვებინათ მენშევიკური ცენტრი, მან სრულებით მხედველობაში არ მიიღო, რომ ამბავი ხდებოდა არა საქარ-

თველოში, სადაც ყველას თავისი საარსებო საშუალება აქვს, არამედ ემიგრაციაში. მე მოვიყვანე მაგალითი ერთ გერმანელ პროფესორისა, რომელიც ბერლინში მაღალ სასწავლებელში ასწავლიდა, რომელსაც გაჰირვება არასოდეს არ მიჰყარებია და რომელიც, გახდა რა ემიგრანტი, იძულებული იყო პარიზში თავი მოეკლა. რომ ჩვენი სასიქადულო მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილი ემიგრაციაში მომხდარიყო, იგი იძულებული ქნებოდა ან ისე მოქცეულიყო, როგორც ის გერმანელი პროფესორი, რომელმაც ბოლო მოულო თავის სიცოცხლეს, ან მენშევიკებთან ეძია თავშესაფარი. ამიტომ მე გავაფრთხილე ყრილობა ფრონტის პრობლემას შესაფერის სიფრთხილით მოპყრობოდნენ. რასაკვირველია, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ბედილბალი გამოცდილ ადამიანებისა და არა გიმნაზიელების ყოფილიყო, მათ შეეძლოთ დასავლეთ ევროპის ეროვნულ დემოკრატიულ წრეების მეოხებით, ეპოვათ იმდენი სახსარი, რომ მოხუცი ქართველი მოღვაწენი არ ყოფილიყვნენ იძულებულნი მენშევიკების მათხოვარნი გამხდარიყვნენ. ყოველ შემთხვევაში მათ არ აწარმოეს პოლიტიკა უცხოეთში ეროვნულ დემოკრატიულ ძალების მჭიდრო ორგანიზაციულ ფორმაში თავმოყრისა და მენშევიკებთან თანამშრომლობის სწორ საფუძველზე აგებისა. ეს თანამშრომლობა მათ საარსებო წყაროდ გახადეს და ადამიანებისგან, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ საშუალებას დამოუკიდებლად გამკლავებოდნენ ცხოვრებას, მოითხოვდნენ მენშევიკების წყალობით მოპოებულ ლუკმა პურზე უარი ეთქვათ. ვინაიდან ყრილობაზე საკითხი იდგა ბ. ასათიანის მენშევიკურ ეროვნულ ცენტრში ყოფნა არ ყოფნის, ვინაიდან ამ საკითხის ამა თუ იმ გზით გადაჭრაზე იყო დამოკიდებული, მოხდებოდა თუ არა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ორი მთავარი ფრაქციის გაერთიანება, მაშასადამე ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობის მთლიანობის დაახლოებითი აღდგენა, და ვინაიდან ბ. ასათიანისათვის უორდანიას ცენტრში ყოფნის საკითხი იყო იმავე დროს ლუკმა პურის საკითხი, ამიტომ მე გავაფრთხილე ყრილობა ამ საკითხის ქარაფშუტულად გადაჭრისაგან. იმისათვის რომ ბ. ასათიანს ჩვენს მსგავსაღ ხელი მოეკიდა ფიზიკურ შრომისათვის, არ კმაროდა მარტო სურვილი, საჭირო იყო პოვნა სამუშაოსი, და მე კი საკუთარ მწარე გამოცდილებით კარგად ვიცოდი, თუ რამდენად ძნელი იყო ეს საქმე. მე განუმარტე ყრილობას, რომ პარტია თავის გასართობად კი არ არსებობს, იგი წევრისაგან მატერიალურ მსხვერპლს მოითხოვს. თქვენ ვერ მოსთხოვთ, ვეუბნებოდი მე ყრილობას, რომ ერთი და იგივე ადამიანმა პარტიულ საქმეებზე ირბინოს, ორგანოს გამოცემაზე იზრუნოს, იყოს რედაქტორი, კორექტორი, და იმავე დროს ემიგრანტულ ჯოჯოხეთურ პირობებში ლუკმა პურისათვის იბრძოლოს. მე პარტიისათვის სავალდებულოდ ჩავსთვალე ბ. ალ. ასათიანის მატერიალურად უზრუნველყოფა და რომ მაგალითი მიმეცა სხვებისათვის მე გადავსწყვიტე პარტიის კასის გასაძლიერებლად, გარდა მუდმივი სავალდებულო გადასახადისა ჩემს ბიუჯეტიდან ერთდროულად გადამეცა პარტიისათვის 100 ფრანკი, და ამ

ჩემს მაგალითს სხვებიც გაჰყვნენ. მე წავაყენ პრინციპი სახელმწიფო-ბრივ ფინანსიურ პოლიტიკის, როგორც პარტიისათვის სავალდებულო, პრინციპი ხარჯის აუცილებლობისა არის აბსოლუტურად აუცილებელი. იქ საღაც კოლექტიური ერთეული არსებობს, უადგილოა ლაპარაკი სახსარის უქონლობის შესახებ, როდესაც საკითხი ამ აბსოლუტურად აუცილებელ ხარჯს შეეხება. აქ სახსარი უნდა იქმნას მოპოებული.

მხოლოდ არის ხარჯი შედარებით აუცილებელი, ე.ი. სასარგებლო. აქ კი შეიძლება საკითხის დასმა შესახებ იმისა, არის თუ არა საშუალება, რომ გაწეულ იქმნას ასეთი ხარჯი. რამდენადაც მე ვიცი, ჩვენში როცა კავალერიის ნაწილებს შლილნენ საბუთად ის მოჰყავდათ, რომ ცხენების შენახვა ძვირი გვიჯდებაო. იქ საღაც საქმე შეეხება სახელმწიფოს გარეშე მტრისაგან დაცვის მოწყობას, მაშასადამე კავალერიისათვის ამა თუ იმ ხარჯის გაწევას, ეს ხარჯი უნდა იქმნას უსიტყვოდ გაწეული. იქ არ შეიძლება საკითხის დასმა მის სიმძიმის შესახებ, სახელმწიფომ უნდა იპოვოს საამისო სახსარი, რაც უნდა ძნელი იყოს. ასეთივე პრინციპი უდევს საფუძვლად სხვა კოლექტიურ ორგანიზაციის ფინანსიურ პოლიტიკას. ან საქმეზე უარი უნდა სთქვან ორგანიზაციის წევრებმა, ან უნდა იკისრონ ის მსხვერპლი, რომელსაც საქმე აუცილებლად მოითხოვს. ასეთ აუცილებელ ხარჯად ვაღიარე მე ხარჯი, პარტიულ ორგანოსა და მისი რედაქტორ ბ. ასათიანის არსებობის უზრუნველსაყოფად. თანაც მე ვუჩვენე მაგალითი მსხვერპლის გაღების, გადავდევი რა ჩემს ღატაკ ბიუჯეტიდან ერთდროულად თანხა პარტიულ კასის გასაძლიერებლად. რასაკვირველია უმეტესობა ბ. ასათიანის მომხრეების ამ მსხვერპლს არ გაექცეოდა და, როგორც გადმომცეს, შესაფერი განცხადება იქმნა კონფერენციის წევრების მიერ გაკეთებული. მე ყოვლად დაუშვებლად ჩავსთვალე, რომ ეროვნულ ცენტრში მუშაობა ყოფილიყო მომუშავისათვის წყარო არსებობისა, რომ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელთ ეროვნულ ცენტრისგან ჯამაგირი მიეღოთ, არავითარ მატერიალურ დამოკიდებულებას პარტიის ამა თუ იმ წევრისა ცენტრისაგან ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ბ. ასათიანმა განაცხადა, რომ ასეთი დამოკიდებულება არ არსებობსო, მაგრამ ეს იყო აშკარა სიცრუე: „ძველი და ახალი მემკვიდრეობის“ ავტორს სხვა რა ინტერესი ჰქონდა, მით უმეტეს ეხლანდელ მსოფლიო პოლიტიკურ მდგომარეობის დროს, ეროვნულ ცენტრში, მაშასადამე ბ. ურატაძესა და ცაგურიების კამპანიაში ყოფნისათვის, თუ არა მატერიალური ინტერესი? პარიზში, თვით მენშევიკურ წრეებში არიან ზოგიერთი პირნი, რომელთათვის მე პასუხს ვაგებ, რომ ბ. უორდანია მათ ვერცა ჰკადრებდა და ვერც კი გაუბედავდა ეთხოვა იმ ბინძურ, წამსისინებლის როლის აღებას, რომელსაც ბ. ასათიანი დღეს თამაშობს.

კონფერენციის ეგრედ წოდებული მდივანი, ბ. გრ. აბულაძე, ეხება რა ჩემ მიერ ფორმალურის მოსაზრებით აღებულ უარყოფით პოზიციას ეროვნულ დემოკრატების ნ. უორდანიას ცენტრში მუშაობისადმი, შემდეგ სიტყვებით მიმასპინძლდება:

„... დამახასიათებელია ბ. ემუხვარო, თქვენი მორალური ფიზიონო-
მიის გამოსაცნობად თქვენი წერილის ის ნაწილი, სადაც თქვენ თავს
ესხმით ბ-ნ ალ. ასათიანს, მისი საქართველოს სხვა პოლოტიკურ პარტი-
ებთან და მათ შორის სოციალ დემოკრატებთან კოალიციაში ყოფნის
გამო, იმ კოალიციაში, რომელიც დამყარებულია დაპყრობის პირველ
დღიდანვე და განბანილია ამდენი ბრძოლით და ერთად დალვრილი
სისხლით“.

მე არ ვიცი იყო თუ არა ეს დალვრილი სისხლი ჩვენს მიწაზე გამ-
შრალი იმ დროს, როდესაც ჩემი წერილი იბეჭდებოდა. ყოველ შემთ-
ხვევაში ცხადია, რომ იგი არ იქნებოდა გამშრალი ცხრა წლის წინად,
1929 წელს, როდესაც ბ. ასათიანის წიგნი „ძველი და ახალი მემკვიდრე-
ობა“ გამოვიდა. მე მოვიყვან რამოდენიმე ადგილს ამ წიგნიდან დასა-
ხასიათებლად იმისა, თუ რა აზრის იყო თვით ბ. ასათიანი იმ დროს მენ-
შევიკურ კოალიციაში მუშაობის შესახებ:

„ამ წრესთან — ბრძანებს ბ-ნი ასათიანი (იგულისხმება ბ. უორდა-
ნიას წრე) — რაიმე პატიოსნური შეთანხმება და კავშირის დამყარება
არის სრულიად უიმედო და შეუძლებელი“. (გვ. 179).

აი რას სწერს ბ. ასათიანი კიდევ ერთ ადგილას: „უორდანია - რა-
მიშვილის კამარილია არის მიზეზი და შემამზადებელი ყველა იმ უბე-
დურებისა, რომელიც შეემთხვა ქართველ ერს ჩვენი დამოუკიდებლო-
ბის გამოცხადებიდან დღევანდელ დღემდე. გასაგებია რომ ასეთი წრე
ველარ შემოიკრებს თავის გარშემო ერის საიმედო, მომქმედ ძალებს.
როვორც ჩვენი ავრეთვე სხვა მიმართულებისათვის ყოველთვის •სახი-
ფათო და საბედისწერო გამხდარა ამ წრესთან დაახლოვება და კავში-
რი. მათთან ურთიერთობა ეს დაუსრულებელი გაიძვერული მოტყუი-
ლება, დალალატება და ხაფანგის დაგება იყო მათის მხრივ, რაც მეტად
ძვირად დაუჯდა მათთან დაკავშირებულ წრეებსა და მთელ ერს. ყოვე-
ლივე ამის მიხედვით უორდანია-რამიშვილთან რაიმე კავშირისა და სა-
ერთო ფრონტის შექმნა ჩვენი პარტიისათვის და მასთან დაახლოვებუ-
ლი წრეებისათვის არამც თუ არ არის მიზანშეწონილი და გონიერი,
არამედ არც არის ფაქტიურად განსახორციელებელი და შესაძლებელი.“
(იხ. „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“ გვ. 192).

მოვიყვან კიდევ ერთ ციტატას: „უორდანია - რამიშვილის „ერო-
ვნულ ფრონტთან“ ურთიერთობის და კავშირის საკითხი დგას მხო-
ლოდ იმ წრეებისათვის, რომელნიც არ იცნობენ და არ ხედავენ მათ
მზაკვრულ მოლვაწეობას ეხლანდელ განმათავისუფლებელ ბრძოლის
ხანაში, ხოლო ვინც ყოველივე ეს უწყის, მისთვის ეს ფრონტი წარმო-
ადგენს განუზომელ ბოროტებისა და პოლიტიკურ გახრწნილების ჭა-
ობს. ამისათვის მასთან ურთიერთობის საკითხი სანიტარიის საკითხია
და არა პოლიტიკის“. (გვ. 216).

ბ-ნ ასათანმა არ იცოდა, რომ ეს სასტიკი სტრიქონები, მისივე ხე-
ლით დაწერილი და ხელმოწერილი, სასტიკი მაგრამ სრულიად სამარ-
თლიანი, წინასწარი განაჩენია მისივე წინააღმდეგ, რომელიც ძალაში
რამოდენიმე წლის შემდეგ შევიდა.

ვლ. ემუხვარი

ერთი უცნაური კორესპონდენციის გამო

„ბრძოლის ხმის“ თიბათვის ნომერში მოთავსებულია „წერილი ჩეხოსლოვაკიიდან“ ემ. ლ-ის. იგი მოგვითხრობს არა მარტო იმაზე, თუ რა ხდება პრაგაში და სუდეტ გერმანელების მხარეში, არამედ იმასაც, თუ რა მოხდა 21—22 მაისს გერმანიის მხრით. მისი ავტორიტეტული გადმოცემით: „სამალავი (თუ დასამალავი? დ. ს.) არ არის, ჩრდილოეთის მეზობელმა განიზრახა 21—22 მაისს ჩეხოსლოვაკიის საზღვრების გადმოლახვა. გავხდით მოწამე მოწინააღმდეგე ძალების ერთნაირად დაზმანებისა“. (რა არის ეს „დაზმანება“? დ. ს.). გერმანიას ამ „დაზმანების“ შემდეგ თავისი ჯარები დაუწევია ჩეხოსლოვაკიის საზღვრებიდან და ამრიგად მოსალოდნელი შეტაკება აცდენილ იქნა ამ ხანადამ, — გვატყობინებს კორესპონდენტი.

მე პირადათ ძალიან ეჭვი მეპარება იმაშიც, თუ რამდენად ნამდვილ სურათს გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი ჩეხოსლოვაკიის იმ დროის მდგომარეობაზე, ტერორს ვინ მიმართავდა: სუდეტ-გერმანელები თუ თვით ჩეხი კომუნისტები. ყოველ შემთხვევაში მრავალი უცხო გაზეთი, თუ გინდ უკანასკნელ დროს ისიც კი, რომელიც ყოველთვის მტრულად იყო განწყობილი ახლანდელ გერმანიისადმი, ინგლისური გაზეთი „დეილი ჰერალდი“ თავისი განსაკუთრებულ კორესპონდენტის ვ. ნ. ევერის წერილში, 22 მკათათვის თარიღით (მოდით და შეადარეთ ეს ინგლისელი კორესპონდენტი ჩვენ ქართველ კორესპონდენტს!) სავსებით ადასტურებს იმ „უაზრო შევიწროებას“, რომელსაც გერმანელები ჩეხოსლოვაკიაში განიცდიან და თავის წერილს ათავებს შემდეგნაირად:

„ჩეხოსლოვაკია არის დღეს ტრალიკული ქვეყანა, მსხვერპლი ავადმყოფურ ძალმომრეობისა და მათ მეთაურთა წყალობით, მრავალ სისულელეთა მოწმე, და, ღმერთმა დაგვითაროს, შეიძლება გახდეს იგი უფრო საშინელი ტრალედიის სათავედ“.

მაგრამ როდესაც ქართულ კორესპონდენციის ავტორი უაპელაციოდ აცხადებს, „რომ ის მოწმე გახდა ამ ორი ქვეყნის სამხედრო ძალების „დაზმანების“, ამაში კი, ნუ გაგვიწყრება ჩვენი პატივცემული კორესპონდენტი, რომ ასე აღვილად არ დაუჯეროთ, ვინაიდან თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩეხოსლოვაკიის და გერმანიის პრესის ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობებს, თვით უცხოეთის პრესაც ამ საგანზესხვა და სხვა სურათს იძლევა. მკათათვის პრესის ზოგიერთმა კორესპონდენტმა ხომ ყველა ამას სიყალბე უწოდა.

საკითხი ისმება, რად დასჭირდა ჩვენს კორესპონდენტს და „ბრძოლის ხმას“ ამ ორ მეზობელ ქვეყანათა დავაში „არამკითხე“ ჩარევა და ისიც ერთის სასარგებლოდ. იმიტომ ხომ არა, რომ კორესპონდენტი პრაგაში სცხოვრობს და „ბრძოლის ხმასაც“ ჩეხოსლოვაკიის მემარცხენე მათაურობის სიმპატიები აქვს. აქ კი ისმება მეორე საკითხი: შეეფერება თუ არა ასეთი ცალმხრივი სიმპატიები და უფრო კი მათი აშკარა გამომულა-

ვნება ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმეს, და ბოლოს, რამდენად სამართლიანია ჩეხოსლოვაკიის მეთაურთა მოქმედება-პოლიტიკა თავის დიდ მეზობელთან დამოკიდებულებაში?

მართლაც, არავისათვის დამალული არ არის, რომ დღევანდელი ჩეხოსლოვაკია, სამწუხაროდ, მოსკოვის ხელში სათამაშო საგნად განდა. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვმა იშოვა შუა ევროპაში ფრიად ხელ-საყრელი დასაყრდნობი. ამით ემუქრება მთელს ევროპას და პირველ რიგში გერმანიას და იტალიას. ამითვე აიხსნება კომუნისტების გაძლიერება თვით პრაგაში, რასაც თვით ჩვენი კორესპონდენტიც ადასტურებს და რაც არ შეიძლება, რომ საგონებელში არ აგდებდეს მეზობელ ქვეყნებს, რომელთაც კომუნისტურ რუსეთთან მტრული განწყობილება აქვთ.

ხვდებიან თუ არა ჩეხო - სლოვაკიის მესვეურები, რომ ასეთი პოლიტიკით, მოსკოვის ევროპის შუა გულში შემოშვებით რა საფრთხეში აგდებენ მთელ ევროპას, ან და, ნუ თუ უნდა დავიჯეროთ, რომ ამგვარი პოლიტიკა საკუთარი ქვეყნის ნამდვილი სამსახურია? რა ლრმა, საბედისწერო შეცდომა! ჩვენის ლრმა რწმენით კი ჩეხოსლოვაკიის სალი, თავის ქვეყნის ნამდვილ ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკა უნდა ყოფილიყო არა მოსკოვთან დაახლოება, არამედ თავის დიდ მეზობელთან კარგი განწყობილების შექმნა. შევხედოთ ამ მხრივ გერმანიის და იტალიის გვერდით პატარა ქვეყნებს, როგორც უნგრეთს, იუგოსლავიას, რუმინეთს და სხვათ. არც ერთის დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის. პირიქით, ისინი დიდს პატივში არიან ამ დიდ ქვეყნებისგან. გავიხსენოთ თუნდაც უნგრეთის პრემიერ მინისტრის ტრიუმფალური მიღება. ამიტომ ძალიან გაბედულ აზრად გვეჩვენება იმის მტკიცება, რომ ჩეხოსლოვაკიის მემარჯვენე წრეები, თითქოს დიდ შეცდომას სჩადიოდნენ გერმანიასთან და იტალიასთან კარგი დამოკიდებულების შექმნის ცდით. ჩვენ ვშიშობთ, რომ არა მემარჯვენეების პოლიტიკა, არამედ ჩეხოსლოვაკიის დღევანდელი პოლიტიკა მართლაც დაღუპავს ამ სახელმწიფოს.

ჩვენი ქვეყნის ინტერესები კი რას გვიკარნახებს? ნუ თუ ისიც სადაო უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ის ქვეყანა, პატარაა თუ დიდი, ეს სულერთია, რომელიც თავისი მეთაურების შემცდარი პოლიტიკის წყალობით, ჩვენი ქვეყნის მტერთან კავშირში შედის, ჩვენს სიმპატიებს ვერ გამოიწვევს? ქართული პოლიტიკის გზა ვერას ღროს ვერ გაჰყვება მათ გზას, თუ არ უნდა, სამშობლოს ინტერესებს ულალატოს. აი ჩვენი საზომი, ამა თუ იმ პოლიტიკის დასაფასებლად. და ჩვენ სხვა საზომი არც მოგვეპოვება.

გარდა ამისა, თუ იმას მტკიცება არ უნდა, რომ ჩვენ, პატარა ქვეყნის შვილებს, პატარა ქვეყნის სიმპატიები უნდა გვქონდეს, როცა ის იბრძევის თავის ქვეყნის გასანთავისუფლებლად ან და მოპოებულ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, სამაგიეროდ ისიც ცხადია ჩვენთვის, რომ სრულიად უმიზეზოდ არაა, ანდა ვინმეს ბოროტი განზრახვით, რომ

დღეს ჩეხოსლოვაკიის პრობლემა საერთაშორისო მწვავე საქმედ გადა-იქცა, ვინაიდან ამ სახელმწიფოს შექმნას ვერსალის ხელშეკრულების ძალმომრეობა დაედო საფუძვლად და არა საერთაშორისო სამართლიანობის პრინციპი. აღსანიშნავია, რომ ამ ხელოვნურად შექმნილ ქვეყანას ეწოდა ჩეხოსლოვაკია და არა უბრალოდ ჩეხეთი. თუ იმიტომ, რომ ამ სახელმწიფოში მოჰყვა 2 ნახევარი მილიონი სლოვაკი, იქ ხომ გერმანელებიც სცხოვრობდნენ, რიცხვით 3 ნახევარი მილიონი. უფრო ნორმალური იქნებოდა ამ სახელმწიფოსათვის ჩეხო-გერმანეთი, ანუ ჩეხო-გერმანია-სლოვაკია გვეწოდებინა. ამათ გარდა დარჩებოდნენ 800 ათასი უნგრელი და ამდენივე პოლონელი და უკრაინელი. აქედან ნათლად ვხედავთ, რომ ამ სახელმწიფოს, ასე ხელოვნურად შექმნილს, ერთხელაც არის შინაგანი კრიზისი დაუდგებოდა და აკი დაუდგა კიდეც. თვით ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ ეს სახელმწიფო დღეს საშინელ საფრთხის წინაშე სდგას, მაგრამ ამავე დროს რიხით გვაცნობებს, რომ „კომპრომისი გამორიცხულია ორ რამეში: 1. სახელმწიფოს მთლიანობა და დამოუკიდებლბა, 2. საფრანგეთთან თავდაცვის კავშირის და საბჭოებთან პაქტის დაცვა“.

უნდა გამოვტყოთ: დღევანდელ ჩეხოსლოვაკიის მესვეურებს (და ალბად ჩვენ კორესპონდენტსაც) სახელმწიფოს მთლიანობის და დამოუკიდებლობის დასაცავად ძალიან მოკავშირე კი გამოუნახავთ — საბჭოთა კომუნისტური რუსეთი! ჩვენის ღრმა რწმენით კი, პირიქით, საკმარისია ჩეხოსლოვაკიამ ყოველივე კავშირი შესწყვიტოს კომუნისტურ რუსეთთან, ჩადგეს საერთო ბრძოლის ხაზში ამ პოლიტიკურ ძალის წინააღმდეგ, რომ ერთის დაკვრით შეიცვალოს დამოკიდებულება მისდამი და დამყარდეს ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობა. ამით ეს სახელმწიფო დიდს სამსახურს გაუწევდა არა მარტო თავის ქვეყანას, არა-მედ როგორც ევროპას, აგრეთვე იმ მებრძოლ ერებსაც, რომელნიც დღეს რუსეთის ფარგლებში არიან რკინით და სისხლით ჩაჭედილნი...

ეს კორესპონდენცია ჩვენთვის ცოტა სხვა მხრივაც არის საინტერესო. მის დაბეჭდვით „ბრძოლის ხმა“ში, როგორც წვეთ წყალში გამოჩნდა ის არა გულწრფელი და დემაგოგიის მიზნით ატეხილი განგაში, რომელიც „ბრძოლის ხმის“ ხელმძღვანელებმა უურნალ „კავკაზის“ წინააღმდეგ ასტეხს საქართველოს იმ ნაწილების სვე-ბედის გამო, რომელიც დღეს ოსმალეთს უკავია. სამაგიეროდ მათ სრულიად ჩვეულებრივად მიაჩნიათ ის ჩადენილი უსამართლოება გერმანიის ხალხის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ თვალ წინ მოხდა, სულ რაღაც 20 წლის წინად. ავსტრიას — დღეს გერმანიას, მოსწყვიტეს 3 ნახევარი მილიონი მოსახლისა, ქართველებზე თითქმის ორჯერ მეტი, და ძალით მიაკერეს, გერმანიის დასუსტების მიზნით, სხვა სახელმწიფოს. თურმე ამ აშკარა უსამართლოების წინააღმდეგ არც იმ ხალხმა, რომელიც მოწყვეტილია თავის ძმებს, არც მათმა სამშობლომ ხმაც არ უნდა ამოიღოს.

„კავკაზის“ ჯგუფს კი სამხრეთ საზღვრების მდგომარეობაზე დროებით შერიგება დანაშაულად და „მოლალატეობათ“ უნდა ჩაეთვალოს

იმ დროს, როდესაც ჩვენ გვიხდება ჩვენი ქვეყნის ყოფნა არ ყოფნაზე ფიქრი, ზრუნვა და გამწარებული ბრძოლა?!

მაგრამ რა შედარებაა ჩვენი და გერმანიის შორის! სუდეტის მოსახლეობა კომპაკტურად იმ ადგილებზე ცხოვრობს და პირდაპირ ერთყმის მთლიან, დიდ გერმანიას. ამ ადგილებში ახლა, რომ თავისუფალი რეფერენციული მოეხდინათ, ეჭვი არაა, მთლიანად გერმანიასთან, თავის მშობელ დედასთან შეერთებას მოითხოვდა და თუ რომელიმე ჯგუფი, კომუნისტები, ან სოციალ დემოკრატები ამას არ იზავდნენ იმ მოსაზრებით, რომ დღეს გერმანიაში მათთვის არასასურველი რეუიმია, ეს იქნებოდა წმინდა პარტიული, ჯგუფური მოქმედება და არა ეროვნული და სამართლიანადაც მხოლოდ მოღალატეების სახელს დაიმსახურებდნენ. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, რომელიც დღეს ოსმალეთს უკავია, ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი ჩვენთვის სასურველი მდგომარეობა არ არის. ხომ ყველამ ვიცით, რომ იქ ქართველი მოსახლეობა მცირე პროცენტს შეადგენს. ხომ საეჭვოა, რომ იქ ახლა მოსახლეობის დაკითხვა მოხდეს, რომ ჩვენს სასარგებლოდ მოხდეს მათი გადაწყვეტილება. მაშასადამე, ეს ადგილები ჩვენთვის ისტორიული, ფრიად სანატრელი ნაწილებია ჩვენი ქვეყნისა. ამ ნაწილების დაბრუნება კი საქართველოს და საერთოდ კავკასიის წიაღში შეიძლება, ჩვენის ღრმა რწმენით მხოლოდ ორი პირობით: თუ კავკასია და კერძოდ საქართველო საკმაოდ ძლიერი იქნება, ჩრდილეთის მეზობლის ექსპანსიის შეჩერებას შესძლებს და თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას უზრუნველჰყოფს. აი, ვიმუშაოთ ჩვენც დაუღალავად ამ პირობების შესაქმნელად. მანამდე კი ამ ნაწილების გამო ცრუ პატრიოტული წუწუნი, ერთი ორომტრიალის დაყენება და დემაგოგიის მიზნით წარმოებული კომპანია, „მუწუკზე ფიქრი იქნება, როდესაც თავსა გვჭრიან“. აი ურნალ „კავკასიის“ გარკვეული, ჩამოყალიბებული პოზიცია ამ საკითხზე. ის აქაც, ემიგრაციაში თავის მხრით, შეძლების და გვარად, იღწვის მხოლოდ იმისათვის, რომ ეს პირობები მომზადდეს. პირველ რიგში კი მას მიაჩნია კავკასიის ყველა ერების ძმური, მეგობრული, მტკიცე კავშირი მათი სრული თანასწორობის ნიადაგზე არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით. ის იღწვის იმ ძმურ ატმოსფერის შესაქმნელად, რომელიც გაგვიადვილებს ერთმანეთის გაგებას, გინდ სხვა და სხვა შეხედულებაც გვქონდეს ზოგიერთ საკითხებზე, აღსაღვენად ურთი-ერთ შორის ნდობის, რომლის გარეშე ყოვლად შეუძლებელია რაიმე დადებითი საქმის გაკეთება.

რომელ გულწრფელ ქართველს მოუბრუნდება ენა, რომ ეს წმინდა, საშვილისშვილო საქმე დასძრახოს!

ს ი ზ ი

ეს მეორედ ესტუმრა ბ. შავიშვილი სოშოს მოხსენებით. პირველი მისი მოხსენება დაახლოებით მარიამობისთვის შუა რიცხვებში მოხდა, სადაც მომხსენებელი აღნიშნავდა, ერთა ლიგა და ინტერნაციონალური ერთა უნიონის უდიდეს მნიშვნელობას; „ფრონტ პოპულერის“ აუცილებლობას და მის მნიშვნელობას ერთა თვითგამორკვევისა და მისი სამართლიანი გადაწყვეტის გზით. აქაურმა სოციალ დემოკრატიამ, განსაკუთრებით არსენიძის მომხრეებმა, მადლობის ნიშნად, დიდი ზეიმი გადაუხადა, ბანკეტის სახით. მეორე მოხსენება, რომელიც ღვინობისთვეში მოეწყო, სრულებით წინააღმდეგი იყო პირველისა. ბ-ნი შავიშვილი ამბობს, რომ მიუნხენის შეთანხმების შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა მის აზროვნებაში, რადგან ერთა ლიგა, რომელზედაც მე დიდ იმედებს ვამყარებლი ჩემი უენევაში ყოფნისას, და მთელი ჩემი მუშაობა უნიონში, უნაყოფო გამოდგა. საბოლოოდ დარჩა ლიგა არა ერთა სამართლიანობისა, არამედ ერთა სიცრუეზე აშენებული ხუხულა, რომელსაც არავითა-რი მნიშვნელობა აღარა აქვს ერთა შეგნებაში და რამე საქმეების მოგვა-რებაში. მე გულწრფელად უნდა აღვნიშნო — ამბობს მომხსენებელი, — რომ მიუნხენის შეთანხმების შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა ჩემს აზრო-ვნებაში (ეს ფრაზა საშინელ აღელვებას იწვევს ბ. შავიშვილის პარტი-ულ მენშევიკ ამხანაგებში) და განსაკუთრებით ყველაზე დიდი მნიშვნე-ლობა აქვს სწორედ იმას, რომ ამ ოთხთა შეთანხმების დროს საბჭოთა რუსეთი არავითარ კურსში არ იყო საქმისა.. აქვე ბ-ნ მომხსენებელს მოჰყავს უახლოესი მაგალითი პილონეთ-ლატვიის უთანხმოებისა, როცა ლატვია, დარწმუნებული საბჭოთა რუსეთის დახმარებაში, პოლონეთს დიდ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ რომ დარწმუნდა, ეს მხოლოდ დაპირებები იყო და სხვა არაფერი, პოლონეთის ულტიმატუმი ულაპა-რაკოდ მიიღო. მაშასადამე, ასკვნის მომხსენებელი, ასეთივეა ყველა ის პაქტები; რომელიც რუსეთსა აქვს დღეს ზოგიერთ სახელმწიფოებთან. ამაში დღეს დარწმუნდა ბევრი სახელმწიფოს მეთაური და ჩვენ უნდა ვისურვოთ, რომ მალე ყველამ ზურგი უჩვენოს მოსკოვს, რომელიც აუ-ცილებლად საშინელ საფრთხეს უმზადებს ევროპასა და კაცობრიობას. და აი, მაშინ ალბად, ქართველი ხალხი, რომელიც კი არ არის ეროვნული უმცირესობა, რომელიმე სახელმწიფოში, არამედ ერთი დიდი ეროვ-ნული ერთეული, და მისი ეროვნული სახეობა უნდა აღსდგეს.

შეკითხვების შემდეგ, არსებითს კამათში, ბ-ნმა ჭირაქაძემ აღნიშნა რომ ბ-ნ შავიშვილს დღეს სრულიად სწორადა აქვს გაგებული დღევან-დელი მდგომარეობა. ბ-ნ ორაგველიძეს, წევრს ისეთი დაგჯუფებისა, როგორც „სოც. აზრია“ რა თქმა უნდა, ძალიანა სწყინს და უკვირს, რომ მომხსენებელმა სამართლიანად მიიჩნია ეს ოთხთა შეთანხმება ჩეხო-სლოვაკიის საკითხში; ალბად მას დაზეპირებული აქვს ნაკარნახევი „სოციალისტური აზრისა“.... „ამ გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი და რეალური ნაბიჯია გადადგმული რუსეთ-საფრანგეთის პაქტი, რომე-

ლიც ურთიერთის დახმარებას მოასწავებსო. ფაშიზმის წინააღმდეგ ერთა ლიგის თანხმობისა და სანქციების ქვეშ... რაც არ უნდა ძლიერი იყოს ჩვენი სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს პაქტი ჩვენ დადებითად მიგვაჩნია“-ო.

საერთოდ ყველა სოციალ დემოკრატები დიდ უკმაყოფილებას გამოსთვამენ. საბოლოოდ ბ-ნი შავიშვილი უპასუხებს: არ არის საკმარისი იყო სოციალისტი, რომ გძულდეს ჰიტლერი ან რომელიმე დიქტატორი და ამიტომ 70 მილიონიანი ხალხი უსამართლობის მორევში ჩაახრჩო. ყველა ჩვენთაგანმა უნდა იაზროვნოს და ამ აზროვნების შედეგი უნდა იყოს, საქართველო და მისი განთავისუფლების საკითხი. ამიტომ, მე კიდევ ვიმეორებ, რომ მიუნხენი არის სამართლიანობა ერთა შეთანხმების საქმეში ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

შ. ბერეჟიანი



† ვახტანგ გაჩაგელი

„რად უნდა ცივსა სამარეს
ნაგრძნობი, ნააზრებია?“

ვაჟა

უდარდელი, აწ შორეული ყმაწვილობის ხანა, რბილი, თბილი მშობლიური ჰაერით მკვიდრად გვაკავშირებდა.

სწრაფად, მეყვსეულად შესწყდა მოწაფეობის უამი, — ულმობელმა ცხოვრებამ გადაგვტყორცნა სხვაგან, — და უცხო პირობებში, უცხო მიწას მიებარა — ოცდაცამეტი წლის ვახტანგი.

წრთელი გულით, სიცოცხლით აღსავსე ძარღვიანი სხეულით, მოძრავი — მოუსვენრად მომქმედი, შეუწყვეტლივ მოფიქრე, აზრებით უხვად მჩქეფარე, მომხიბლავი შუქით განათებული დიდრონი ლამაზი თვალებით — ასეთი გვიყვარდა ვახტანგი და მას უყვარდით.

მეგობართ დაგვეკარგა გულუხვი, გაჭირვებაში კეთილ-გრძნობიერი, სამართლიანი, პირდაპირი და ერთგული ტოლ-ამხანაგი.

თბილისში, საპიორთა ყოფილ ქუჩაზე, სახლის პირველ სართულში, ვახტანგის მამის, ცნობილ მოღვაწის მიშო მაჩაბლის ბინასა ჰქონდა ახალგაზრდათათვის ის მომხიბლაობაც, რომელსაც ხელს უწყობდა ორი ლამაზი გასათხოვარი ქალი. უფრო ახალგაზრდები შორი-ახლოს ვიდექით. ჩვენზე უნცროსი, 14—16 წლის ვახტანგი, თავისი გონება-მახვილობით იპყრობდა ყურადღებას უფროს ამხანაგებისას. მიბარებულმა თბილისის ყოფილ პირველ გიმნაზიაში, მაშინვე გამოიჩინა მან თავისი დამოუკიდებელი ხასიათი და მასწავლებლებთან შეჯახებაში შექმნა აურზაური, რომელიც მოწაფეთა შორის მუდამ იწვევს თანა-გრძნობას და მეტადრე მაშინდელ რევოლუციონური გუნების ხანაში.

ვახტანგი მოხვდა უფროს ამხანაგების წრეში: ჭადრაკი, რეფერატები, კამათი — ყმაწვილური სჯა-ბასი იყო ჩვენთვის თითქოს ცხოვრების განაპიროს ყოფნა, იმდენად არ გვესმოდა მოვლენათა ის ნამდვრლი ვითარება და ჩვენი ბუნებრივი აღზრდისათვის საშიშროება, რომელმაც უცაბედად შეგვაწყვეტინა ჩვენი უზრუნველი დროის ტარება.

იტალიის გზით ვახტანგი შემოგვიერთდა საფრანგეთში, და ჩვენი თაობისათვის ნაცადი ჭირ-ვარამის, ლუკმა პურისათვის ბრძოლის აუტანელი პირობები — მან გაიარა მხნედ და ამაყად, როგორც დღეს დახვდა სიკვდილსაც.

უკანასკნელი ოთხიოდე წლის განმავლობაში ბედმა მას, თითქო, გაუღიმა: ვახტანგს შეეძინა ცოლ-შვილი და მოეწყო მისთვის შესაფერ სამსახურში.

დღეს ჩვენ დავსტირით საყვარელ მეგობარს და ჩვენი თაობა გლოვობს ერთ თავის უნიჭიერესთაგანს წევრს.

საზღვარგარეთელ ჩვენი თაობისათვის, ვახტანგი დარჩება უებრო მაგალითად გაცრუებული იმედებისა, მიწაზედ ვერ მიღწეული მისწრაფებისა, თავის სასიკვდილოდ დახარჯული უამრავ ძალ-ლონისა.

უზომო ზომის ნატვრანი — უსაფუძვლოდ მონდომილი, უზომო მოქმედების სურვილები — უასპარეზოდ ნატრული, უზომო განცდად ქცეული, არა მიწიერად შეთვისებული წუთი-სოფლის ამაოება — ჩვენი თაობის დამახასიათებელია.

გარდატეხის ხანას, ცხოვრების უცაბედი ნახტომი ჰქმნის გაუთვალისწინებელ პირობებს პოლიტიკურ-ეკონომიური წყობისას, — შობს მოულოდნელ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს და უტოვებს მოუმზადებელ თაობას „კლდეთა და ღრეთა“ — „უგზო-უკვლოდ“ სავალად. ამ თაობას, სულით ობლად ქმნილს, უმასწავლებლოდ, უოსტატოდ, უხელმძღვანელოდ დატოვებულს — დასჭირდება კიდევ ბევრი ვაი-ვაგლახი საკუთარი გზის გასაკაფავად.

ცხოვრება არ ზოგავს უზომო ვნებათა ღელვას — სააქაო ალმშენებლობისათვის მოითხოვს ზომას, ზოგჯერ ზომიერებასაც.

მაცხოვრის სათნოებრივი მოთმინება — შემოქმედებითი სიყვარული და უკვდავების ნიჭი უცნობი დარჩა ამ თაობისათვის.

თუ გველირსა როდისმე გამარჯვებით შეუერთდეთ იმ თაობას, რომელსაც წილად ხვდა ადგილობრივი შეგუებისათვის ჩვენზე მძიმე უღელელი და მეტი უნარი, — შემოგვაკლდება ნიჭიერი, მცოდნე, გამჭრიახი ვახტანგი — უდროოდ დალუპული სავალი გზების ძიების ჟამსა.

როცა, არაჩვეულებრივი მუსიკალური სმენით ალჭურვილი ვახტანგი ასულდგმულებდა სიმებს — ამ ძველ ნაცნობ ჰანგებში იშლებოდა თბილისის ზაფხული, ნააღრევად დამჭკნარი თავისუფლების ვარდები, ლამაზი სახეები ჩვენი ტოლ-ქალწულებისა.

დაიწვა ვახტანგი — ველარ მოვისმენთ მის აღელვებულ ლაპარაკს, ვერც მის ლამაზსა დაკვრას...

შორეული აზის კიდეზე მოხუცებული დედა დასტირის სანუგეშოდ აღზრდილ ერთად ერთ ვაჟს! დები დასტირიან საუკეთესო ძმასა.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

გ. ჯაყელი



29 აგვისტო ბერლინში

კვირას, 4 ენკენისთვეს „ნოლენდორფ კაზინო“-ში შესდგა ბერლინის ქართველთა საზოგადო კრება 29 აგვისტოს აჯანყების 14 წლის თავის აღსანიშნავად.

ბერლინის კოლონიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ა. კიზირიამ, მოაგონა რა კრებას ამ დღის მნიშვნელობა ქართველ ხალხისათვის, იმედი გამოსთქვა. რომ უბრალოდ არ ჩაივლის მრავლად დაღვრილი სისხლი და ახლო არის უამი, როცა ქართველი ხალხი მიაღწევს თავის ბრძოლის მიზანს. კრებამ თავმჯდომარის წინადადებით, ორი წუთით ფეხზე ადგომით და სრულის დუმილით პატივი სცა აგვისტოს დღეებში დალუპულ მსხვერპლთა ხსოვნას.

შემდეგ თავმჯდომარემ ცნობად მოახსენა, რომ გერმანიის ხელისუფლების მიერ, ამას წინად, დამტკიცებული ქართველებისათვის: „გეორგიშე ბერატუნგ სტელლე“ გადაკეთებულია უფრო დიდი მნიშვნელობის დაწესებულებად, სახელწოდებით: „კაუკაზიშე ვერტრაუენს სტელლედ“, რომლის მეთაურად დანიშნულია საქართველოს ყოფილი ელჩი გერმანიაში ბ. ვ. ახმეტელი. კრებამ ამ სასიხარულო ცნობის გამო ოვაცია გაუკეთა ბ. ახმეტელს, რითაც გამოხატა გერმანიაში მყოფ ქართველთა საერთო რწმენა, რომ ბ. ვ. ახმეტელი სავსებით შეეფერება ამ თანამდებობას და მის მომავალ საპასუხისმგებლო მუშაობაში სრული დახმარება აღუთქვა.

კრებამ გერმანიის ხელისუფლებას ამ განსაკუთრებული ყურადღებისათვის, მთელი კავკასიის ხალხებისადმი და კერძოდ ქართველებისადმი ულრმესი მაღლობა გაუგზავნა. შეკრებილი ქართველობა, მომავალით დაიმედებული, მხიარულად და ნასიამოვნები დაიშალა, რასაც დიდი ხანია ბერლინის ქართმელობა არ მოსწრებია. „კაუკაზიშე ვერტრაუენს სტელლეს“ დაარსებამა და განსაკუთრებით, მის ხელმძღვანელად ბ-ნი ვლ. ახმეტელის დანიშვნამ, თუ რა კმაყოფილება გამოიწვია აქაურ ქართველობაში ისიც გვიჩვენებს, რომ ამავე სალამოს, ერთმა ნაწილმა ქართველობისამ, ბ. ბ. მიხეილ წერეთლისა და აკაკი პაპავას ინიციატივით, განსაკუთრებული სალამი გაუგზავნა ყოფილ ელჩს ბ. ახმეტელს. ვუსურვოთ ამ ახალ, მთლიან კავკასიისათვის შექმნილ ორგანოს, სრული გამარჯვება.

დამსწრე

**ჭ. ავალიშვილი: — „თეიმურაზ პირველი და მისი პოემა წამება ქე-
თევან დედოფლისა“-ის სამი ნაკვეთი შარშან ამ უურნალში იყო მოთა-
ვსებული („კავკასია“ № № 3, 4 და 5).**

1. სათაურისა და წინასიტყვაობის გარშემო.

ჭ. ავალიშვილის „თეიმურაზ პირველი და მისი პოემა წამება ქე-
თევან დედოფლისა“-ის სამი ნაკვეთი შარშან ამ უურნალში იყო მოთა-
ვსებული („კავკასია“ № № 3, 4 და 5).

აწ მათ დაერთო შესავალი და დამატება და გამოქვეყნებულია
160 გვერდიან წიგნად.

ავტორი შესავალში გვიზიარებს: „ამ ახალ გამოცემაში ზოგი რამ
დამატებულია. სულ ახალია ეს წინასიტყვაობა“-ო.

ეს კარი, ჭ. ავალიშვილის მიერ შესავლად წოდებული, იხსნება
ევროპიდან საქართველოზე და ისტორიის სწორედ იმ ამბავზე, რომელ-
მაც ანდრია გრიფიუსს მასალა მიაწოდა ხუთ მოქმედებიან „ქეთევან
ქართველის“ ტრალედიის დასაწერად.

ვილჰელმ შერერი, თავის, გერმანულ ლიტერატურის ისტორიაში, ან-
დრია გრიფიუსის ეპოქის აღსაბეჭდათ, აღნიშნავს გერმანელ დრამა-
ტურგის დაბადებას შექსპირის სიკვდილის წელს — და მის მიცვალე-
ბას კი, შექსპირის დაბადების ასი წლის თავზედ; ასე რომ შექსპირ-გრი-
ფიუსის სიცოცხლის ხანა თითქოს სრულ საუკუნედ მოგვეჩვენება... ეს
ქრონოლოგიური შეულლება, ნაკლებ ხელოვნური და ჩვენთვის უფრო
მახლობელიც გახდება, როცა შორეულ შირაზში ჭ. ავალიშვილი გაგ-
ვაცნობს ინგლისელ, „რენესანსის კაცს“ — პოეტ-დიპლომატს თომას
ჰერბერტს.

წინასიტყვაობაში კი, ჭ. ავალიშვილთან ერთად, ჩვენთვის საგუ-
ლისხმოა სხვა თარიღები — ქართული სინამდვილისა, და ეს სწორედ
გრიფიუსის „ქეთევან ქართველის“ ტრალედიის შინაარსს ეკუთვნის. ქა-
რთველ მწერლისათვის მნიშვნელოვანია, რომ გრიფიუს: „საქართვე-
ლოში მომხდარი, შაჰ-აბაზის დროინდელ ამბავთა მგლოვიარე სურა-
თი ხომ მთელ ტრალედიას საფუძვლად უდევს“-ო.

მკვლევარისათვის ისმება ბევრი ამოცანა; ის ეხება თვით ტრალე-
დიის სიტყვა-კაზმულ ღირებულებას, ავტორის ვინაობას და მის ხასი-
ათს, დაწერის ხანას და მეტადრე ჩერდება გერმანული ნაწარმოების
ფრანგულ წყაროზედ. უკანასკნელი, კლოდ მალენგრის თხზულებაა:
— მე-17 საუკუნის პირველი მესამედის ქართული ისტორიის საყურა-
დლებო ანარეკლი, რომლის შინაარსსა, შეფასებასა და განმარტებას
გვაძლევს მკვლევარი. იგი უთითებს იმაზეც, რომ კლოდ მალენგრის
„ჩვენი დროის ტრალიკული ისტორიები“ ვერ ჩაითვლება გრიფიუსის
ერთად ერთ წყაროდ. ჭ. ავალიშვილის თვალწინ ბუნებრივად დგება
სახე იტალიელი დიპლომატ-მოგზაურისა, პეტრე დელლა ვალლესი...

არ გავჩერდებით ამ წყაროთა ძიების მნიშვნელობაზე — თვით
ავტორიც გვეუბნება: „ეს მისი საქმე იყოს, ვინც შემდეგში მოისურვებს

ამ ტრალედიის წარმოშობა და წყაროები უფრო დაწვრილებით შეისწავლოს"-ო. მართლაც, ზ. ავალიშვილმა ამ მომავალი მკვლევარის შენობას უკვე აუგო ფართო ბჭე-კარი; მისი აზრით, ამ ხუროთ-მოძღვრობის აღსრულება კარგი იქნებოდა „დოქტორის ხარისხის შესაძენად რომელიმე ახალგაზრდა ქართველისათვის გერმანიაში"-ო.

პეტრე დელლა ვალლეზე კი მაინც უნდა ვსთქვათ, რომ მის მოღვაწეობას, ზ. ავალიშვილისათვის, როგორც სჩანს, უნდა ჰქონოდა კი-დევ სხვა მნიშვნელობაც.

ვგულისხმობთ მოვლენათა იმ აუცილებელ შეგრძნობას, რომელიც აძლევს შემომქმედს საშუალებას განახორციელოს თავისი წადილი — ამ შემთხვევაში კი დააწყოს მოთხრობის აგებულება, მონახოს წიგნი-სათვის შესაფერი სათაური.

3. დელლა ვალლე უთუოდ არის მკვლევარ-მწერლისათვის საგულისხმო აღმაფრენის მიმნიჭებელი.

ახოვანი ქეთევან დედოფლის არაჩვეულებრივი სიმაგრე, მისი მალალი ღირსების ღვაწლი ღრმა დაღს ასვამს იტალიელ მოგზაურს; იგი პოლიტიკურად არ იყო ქეთევანისა და ქართველობის დამცველი, პირიქით, სახელმწიფოებრივი ანგარიშით ის ცდილობს თავისი მოკავშირის, შაჰ-აბაზის საქციელი გაამართლოს კიდეც; მაგრამ ადამიანური და ქრისტიანული ძალა სძლევს და დელლა ვალლეს სწყურის ქეთევანის ხოტბა: „მასზე ან პოემა ანდა ისტორია იქნებოდა დასაწერი. ხოლო არცა ვარ მოცლილი რომ ისე ვსთქვა, როგორც შეეფერება საგნის სიდიადეს, და ვერც ჩემი ბეჭები ესოდენ მძიმე ტვირთს აიტანდნენ“-ო.

აქ ზრახვად დარჩენილი მძიმე „ტვირთი“, გერმანულმა და ქართულმა ხელოვნებამ — ქეთევანისა საღიდებლად — აიტანეს, და რაც არ დასცალდა იტალიელს — აღასრულეს. ამ ხელოვნების მიღწევებს, დელლა ვალლეს საპასუხოდ, მკვლევარი მკაფიოდ გვაგრძნობინებს წინასიტყვაობა — შესავლის პირველივე გვერდიდან; მისი აზრით, თეომურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლის“ პოემით — ქართულმა სიტყვა-კაზმულ მწერლობამ თავისი ვალი მოიხადა ღვაწლ-მრავალი წმინდანის წინაშე.

მწერალს, ერთგვარი სიამაყით, სურს ამ გადახდილი ვალის გრძნობა აღიბეჭდოს თვით წიგნის სათაურში; თორემ კვლევის დროს ის მოცილდება მეფე-პოეტის მაჯამა-შაირებს და გვაძლევს მაშინდელ ეროვნულ-პოლიტიკური მსვლელობის უფრო სრულ სურათს, გარნა ქართულ პოემას ის მაინცა ხდის თავისი თხრობის დედა-ბოძად.

წინასიტყვაობა — შესავალში აღნიშნული ავტორის უმთავრეს ცდად, თითქოს, თეიმურაზის პოემაა, რომელსაც იგი: „არკვევს როგორც სალიტერატურო ნაწარმოებს და საისტორიო ჩვენებას“, (გვ. 34) — ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს; თვით წინასიტყვაობა თავისი უხვი მრავალფერობით ამას ეწინააღმდეგება; ავტორმა ეს კარგად იცის; „პოემისათვის“ სწერს წიგნის პირველ თავს — და მეორე თავში კი, როცა ის უფრო აღრმავებს „საისტორიო ჩვენებას“, მას დასჭირდე-

ბა ახსნა-განმარტება მეორე წინასიტყვაობის სახით (გვ.51 — 52). იქ თავისი შრომის ახალ გაშუქებაში ავტორი ამჟღავნებს, რომ პოემა მისთვის მხოლოდ მიღვომის საშუალებაა და ნამდვილი მიზანი კი: გარკვეული ეპოქის პოლიტიკური ეპილოგი; სახელდობრ, თეიმურაზის ორჭოფულ პოლიტიკაზე საბოლოო გამარჯვება, როსტომ მეფის სახით, ირანული მიმართულებისა.

ავტორი გვეტყვის იმასაც, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის შესასწავლად თუ რასმეს ბეჭდავს, მხოლოდ იმისათვის, რათა: „რაც აქ ახალია და აქამდინ უცნობი, თუ კი არის ასეთი რამ, არ დაიკარგოს“-ო.

მკვლევარის თავმდაბლობას თავი რომ დავანებოთ, აქ არის სხვა მნიშვნელოვანი მიზეზიც: ის ეძებს თანაგრძნობას თავისი ნამდვილი პოლიტიკურ-ისტორიული მიზნის მისაღწევად; ის გვეუბნება, თუ „გვსურს იმდროინდელი სინამდვილე ვიცოდეთ“ — ეს არ გველირსება, ვიდრე მაშინდელი „ნამდვილი ვითარება პოლიტიკური, ზნეობრივი და სარწმუნოებრივი არ გვექნება გათვალისწინებული“-ო; ეს აუცილებელია დღევანდელ თვითგამორკვევისათვისაც, გარნა ეს მოითხოვდა ვრცელ შრომას „შაჰაბაზის დროინდელ საქართველოზე“-ო. ავტორს ეს შრომა ნაწილობრივ განზრახულიც ჰქონია, მაგრამ: „ძნელი საოქმელია, რომ საამისო მოთხოვნილება იყოს. ამ პირობებში, ზედმეტ და უმიზნო ფუფუნებად ჩაითვლებოდა“-ო.

ამ მწარე საყვედურს გვეტყვის ავტორი, თითქო არა მკითხველ საზოგადოების, არამედ, მართლაც დელლა ვალლეს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სწერდეს თავის წიგნსა.

მკვლევარი მაინც იძულებული ხდება გაკვრით, ოსტატურად, მოხდენილი სიმოკლით, შეეხოს ყველა მაშინდელ პოლიტიკურ, ზნეობრივ და სარწმუნოებრივ საკითხს და გვასწავლის მრავალ ახალ გზა-ბილიკს ეროვნულ ცხოვრების უფრო სრულ გაგებისათვის.

პოეტის „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ — გახდება მწერლისათვის ბუნებრივ საჭიროებად; კაზმულ-მწერლობაზე დაყრდნობით იგი მისცემს თავის მეცნიერულ კვლევა-ძიებას განსაკუთრებულ ელფერს და თავისებურებას, რომლის გუნების თვისებად დარჩება თეიმურაზის პოემა და გრიფიუსის ტრალედიის აჩრდილი — შესავლად ქცეული წიგნს ბოლომდე მისდევს.

გრიფიუსმა, ევროპაში მაშინ არსებული მძლავრი კლასიციზმის გავლენით, დელლა ვალლეს განზრახულ ხოტბას — ტრალედიის სხეული მისცა.

არისტოტელის პოეტიკის მიხედვით, ტრალედია არის უზენაესი საშუალება სამღრთო სიბრძნის გამომულავნებისათვის.

ქართულ მწერლობას არ ეღირსა ტრალედიის ძალა. ნასწავლმა თეიმურაზმა იცოდა, რომ „არისტოტელმა აჯობა ყველასა სიბრძნე — მქონებელსა“-ო; მაგრამ მეფე - პოეტისათვის სხვა გავლენა იყო უფრო მკვიდრი და მან თავისი დედის საღიღებლად ირჩია შაირობა, რუსთველის ანდერძით: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარ-



გი, სამღრთო საღმრთოდ გასაგონი“. მაგრამ, თეიმურაზმა შაირობას, პირველმა, მისცა ისტორიული თხრობის შინაარსი და ეს დღემდე რჩება ქართულ პოეზიის ადათად.

ამ ისტორიული მოწმობის ნიადაგზე ჩვენ მთლად ვშორდებით არისტოტელის პოეტიკას, რომლისათვის ფაბულა-ამბავი სულ უმნიშვნელო რამ იყო. ამგვარადვე, მეჩვიდმეტე საუკუნის ეროვნული მიდრეკილების მწერლობა ეცილება „უსაქმურ“ რუსთველს; რუსთველისათვის, არისტოტელისამებრ, ფასობდა არა ნედლი მასალა „მარგალიტი ობოლი“, ნამდვილად ნაპოვნი ან ამბავად ნათქვამი, არამედ განყენებული სიბრძნე, თუნდაც მიწიერ წადილად ქცეული და მიჯნურის საქმიანი ხელობითა, გრძელ ლექსად წყობილი მარგალიტი.

„მიჯნურობა“ — გრიფიუსის ტრალედიისაც მთავარი კვანძია, ჩვენთვის კი იგი ფასობს არა „სამგლოვიარო მოქმედების“ ბრძნული წყობით, არამედ თავისი ისტორიული შინაარსით.

თეიმურაზის „წამებაც“ ისტორიული მოწმობაა; იგი განსხვავდება პოეტის სხვა „უსაქმურ“ სამიჯნურო პოემებისაგან, რომლებისათვის ქრისტიანული აღორძინების მოსურნენი მკაცრად ჰქიცხავენ; თუმცა უნდა ითქვას, რომ მეფე-პოეტი, „შვილთა კრებათათვის“, თანაგრძნობით ანგარიშს უწევდა ზოგთა სარწმუნოებრივ - პოლიტიკურ მიღრეკილებას და ზ. ავალიშვილი მას სამართლიანად უწოდებს: „მართლმადიდებელ მიმდევრად რუსთაველისა“.

მაგრამ გრიფიუსის ტრალედიაში არის კიდევ სხვა მძლავრი ძალი, რომელიც აკლდა დელლა ვალლეს: ის პოლიტიკურად თანაუგრძნობდა ქართველთა ბრძოლას.

თეიმურაზის „წამება“ გარეშე ისტორიული მოწმობისა, ალსავსეა ლირიზმით და ტრალიზმითაც; გასაგებიც არის: დედის დალუპვაში დამნაშავე შვილი, მას, საშინელი ტანჯვითა „ზეცას წასულსა“, უძლვნის შაირებს, „სიბრძნისა მოყვარე გულით“ უყრის მაჯამას. მაგრამ თეიმურაზის შემოქმედება, ვახუშტისამებრ რომ ვსთქვათ „განყოფის“ ხანის ნაყოფია, მას აკლია „ერთობის“ დროის პოლიტიკურად მიზანშეწონილი დიალექტიკა. ამ მხრივ აგიოგრაფიული გემოვნებითაც განსხვავდება იგი „ერთობის“ სამზადის დროისაგანაც, როცა იოანე საბანის ძე ეროვნულ-პოლიტიკური შეგნებით ამკობდა აბო ტფილელს.

გრიფიუსის ისტორიულ-პოლიტიკური განცდა კი უფრო ენათესავება ქართულ „ერთობის“ ხანას და ამ მხრივ ჩვენთვის თითქოს სადღეისოა; ეს ეროვნული შეგნების ჰანგი მკვლევარის ყურადღებას იპყრობს.

მკვლევარი გვიხსნის, რომ გრიფიუსი იყო შვილი ოცდაათ წლოვანი ომისა, რომლის ასპარეზად და მსხვერპლად მისი სამშობლო გერმანეთი გახდა.

„ამისათვის არც საკვირველია რომ მან ასე ღრმად და გულწრფელად იგრძნო საქართველოს სახითათო და შეუპოვარი ბრძოლა სპარსელთა ძალადობის წინააღმდეგ, მისი სისხლიანი წყლული, მისი შონობის სიმწარე და განთავისუფლების წყურვილი“-ო.

ავტორს მოჰყავს გერმანული ტრალედიის რამოდენიმე, ქართულად ნათარგმნი, ნიმუში.

„ტყვე-ქალწულთა“ გალობაში ისმის ეროვნული ბრძოლის იმედიანი ძალი, რომელიც, სამშობლოს საზღვარ-გარედ იძულებით მყოფ ქალ-ვაჟისათვის, ნიადაგ სადღეისოა, მარად ალმთრთოვანებელი.

აქ, ქეთევან დედოფლის წარუხოცელი სახე იქცევა სამშობლოსათვის თავდადების აჩრდილად.

„ტკბილო მხარევ ... შესწყვიტე ხანგრძლივი ჩივილი და სიხარულად აქციე შენი წუხილი!

„ნაცრიდან მხიარულად ალმართე დამსხვრეული სხეული!
„სთქვი ახალი სასიხარულო სიმღერანი, — რაღან აწ სრბოლაშია შენი კეთილდღეობა ...

„შესძახეთ: საქართველო, გაგიმარჯოს!...

„იგალობეთ, რომ იგი წუხილშიაც გამთელდა და ბორკილებშიაც თავისუფალი იყო!...

„იგალობეთ, რომ პყრობილიცა — იგი მძლავრია და თავი თვისი ჰპოვა მან!“

ხორაზე დამწვარი დედოფლის სხეული — ნაცრიდან ალსდგება სასიყვარულო ცოცხალ ტანად, „განცდილი სიმტკიცის“ სათაყვანის-მცემლო მაგალითად და ჩვენი სადღეისო ყურადღებისა და ცოდნა-მოყვარეობისათვის—ძვირფას ლარად; და ავტორი უსურვებს გრიფიუსის ტრალედიას მალე იქმნას ქართულად გადმოთარგმნილი...

წინასიტყვაობიდან ბოლომდე, ზ. ავალიშვილის შრომა, რასაკვირველია ფართო კვლევა-ძიების ასპარეზია. დასაწყისში, შესაძლოა, ჯერ არა მიწევნილ მკითხველზე ცოტა ცივ-მეცნიერული შთაბეჭდილებაც მოახდინოს. ნამდვილად კი, ეს წიგნი იმნაირი საგანია, რომელიც არა თუ დამწვარ ძველ მუხათა ხორას ნეშტია — ცივი ნაცარი, არამედ მხურვალე ნაკვერცხალია — ისევ მწვავე სინამდვილისათვის ახალი ცეცხლის გამაღვივებელი.

გ. ჯაჟელი



პრიტიკა და გიგლიოზრავია

უურნალ „კავკაზის“ რედაქციამ მიიღო განსახილველად „ახალგაზრდა“ მენშევიკების ლიტერატურა. განვიხილოთ.

ჯერჯერობით სამი წიგნაკია, ერთნაირი სიგრძე სიგანისა და სხვა და სხვა სისქისა:

1. „ბრძოლა სამშობლოსათვის“ — ბ. ს. გოგიბერიძისა. 140 გვ. პარიზი 1938 წ.

2. „დანგრეული ოჯახი“ — ლეისპირელისა. 168 გვ. პარიზი 1938 წ.

3. „მოგონება“ - მემუარები — ვ. ჩუბინიძესი. 95 გვ. პარიზი 1938 წ.

სერია! სეირია: ემიგრაცია გამდიდრებულა მატერიალურად და, ეტყობა, მდიდრდება სულიერადაც. სამთავე წიგნაკს აზის მენშევიკური დალი, მაგრამ სხვა და სხვა ზომისა.

თავიდანვე უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნ გოგიბერიძეს „ბრძოლა სამშობლოსათვის“ განსხვავდება საერთოდ მენშევიკურ უნიჭო ლიტერატურისა და ზემოაღნიშნულ დანარჩენ ორისაგან, როგორც გულწრფელობით, ისე ნალვლიანი ტონით და თითქმის კარგი ქართული ენით. დაწერილია პატრიოტული აღტყინებით, ახალგაზრდული ცეცხლით და... მენშევიკური დალის მიმქრალობით. ეტყობა, განიცდის იმას, რაზედაც სწერს და ეს კარგი ნიშანია ადამიანისათვისაც და მწერლისათვისაც.

მართალია, ამოცანა რომელიც დაუსახავს ავტორს, — 1924 წლის საერთო აჯანყების სახე გურიაში, — ვიწროა, მაგრამ სწორედ ამიტომ უფრო საინტერესო და მომგებიანი. მით უფრო, რომ ზოგიერთ დიდ პოლიტიკურ საკითხებსაც ეხება და ნალვლიანად, მაგრამ გადაჭრილ და სწორე პასუხს იძლევა. მაგ., შეეძლო თუ არა იმ პირობებში, პოტენციალური ძალის გამოყენებით, საქართველოს გადარჩენა 1921 წ. და ამბობს: „... რაც საქართველოში მასალა მოიპოვებოდა ხალხისა თუ იარაღის მხრივ, და მეორე მხრივ, თვალები არ დაგვეხუჭა და დაგვენახა აშკარა მზადება რუსეთისა ჩვენზედ დასაცემად და ერთ სულიერად მოგვემზადებინა ამ ომისათვის, იმ ძალას, რომელიც ჩვენ თავზედ დაგვესხა, ჩვენ ჩვენს დამოუკიდებლობას არ გავატანდით ... ასეთივე აზრისა იყო ბევრი ქართველი, ჩემი იქ ყოფნის დროს“.

ასეთივე აზრისა ვიყავით ჩვენც, — მაშინაც და ეხლაც და ეს იყო ერთერთი მთავარი საღაო საგანი ნაციონალისტური ოპოზიციისა და მენშევიკური ხელმძღვანელობის შორის. თავის მოფხანაც ნაგვიანევია, მაგრამ „ხელმძღვანელობას“ დღესაც არ ესმის ესა. ამიტომ ვფიქრობთ, ბ-ნ გოგიბერიძეს ნალვლიან კრიტიკას, — პოლიტიკური დასკვნა აკლია: ესეთი ხელმძღვანელობა არ ვარგოდა, არ ვარგა და ვერც როდისმე ივარგებს. ასეთივე აზრისა იყო ბევრი ქართველი, ჩვენი იქ ყოფნის დროს — ბ-ნ გოგიბერიძეს სიტყვები რომ ვიხმაროთ — და არის დღესაც.

საერთოდ ბ-ნ გოგიბერიძეს წიგნაკი, ფრიად საინტერესოა არა დასკვნებით, არამედ როგორც შესასწავლი მასალა და საბუთი, რომ ხალხი, ქართველი ხალხი. (გურიაშიაც კი) გამოფხიზლდა მარქსისტული ბურუსიდან და, მიუხადავად თანასწორი წნეხვისა მენშევიკებისა და ბოლშევიკებისაგან, ეროვნულ შეგნებას დაეწაფა. იგი უდანაშაულო მებრძოლის აღსარებაა, დამნაშავე ხელმძღვანელობის ქურუმთა მიმართ.

მეორე საინტერესო მომენტი ბ-ნ გოგიბერიძეს ამბებიდან, გახლავთ იდილიურ-რომანტიული სურათი, ყაჩალებისა. ტერორისტებისა და კაცის მომტაცებელთა რევოლუციონერობა-პატრიოტობაზედ დახატული. აქ, ავტორი ცოტა გულუბრყვილობას იჩენს, ახალგაზრდობით რასაკვირველია, და არ იცნობს ისტორიას (რომ ყაჩალობა, კაცის მომტაცება ცარცვა დუხშირი ნარჩენი მოვლენა იყო გურიაში, როგორც განა-

პირა კუთხეში, ჯერ კიდევ წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლება-
 მდე, როცა სამღვდელოება, თავადაზნაურობა და ხელმაგარი გლეხო-
 ბაც კი — იტაცებდნენ და ოსმალეთის ბაზრებზე ჰყიდდნენ ტყვეებს;
 მერე ეს შეიცვალა უბრალო ფირალობითა და კონტრაბანდით) და ეტ-
 ყობა, არც ჩვენი დროის ამბებს, როდესაც, ჩვენში მომხდარი „რევო-
 ლიუცია“ და არა რევოლიუცია დაახლოებით იმავე მეთოდებზე აეგო,
 მხოლოდ უფრო დიდი და ორგანიზაციული მასშტაბით. ესეთი „მაკე-
 დონური“ წესები, დრომოქმულად და დასაგმობად უნდა ჩაითვალოს,
 როგორც ყოველგან განათლებულ ქვეყნებში და უკვე არასაკადრისად
 ძველი ცივილიზაციის მატარებელი ქართველი ერისათვის. ყველა ეს
 მანწკავები, ღლონტები, ობოლაძეები, ფინთიხიძეები, სისონაები და არ-
 სენებიც, დროა, ჩაჰარდნენ ისტორიას, თუ საქართველოსა სურს კვლავ
 გამოსვლა ეროვნულ სახელმწიფოებრივ გზაზედ. ავტორს, როგორც
 ფხიზელ ახალგაზრდას, მგონი ეს კარგად ესმის.

საინტერესოა ქალების ვაუკაცური მონაწილეობა ბ-ნ გოგიბერიძეს
 ალწერილ ამბებში, რასაც, გაღმოცემით, ადგილი ჰქონდა საქართველოს
 სხვა კუთხეებშიაც და ესეთი გაღვიძება, ისტორიულად ჩვენში ცნობი-
 ლი და რუსების დროს გამჭრალი, „ქართველი ქალობისა“, შესაძლოა,
 მომავლის საწინდარ დუღაბად იქცეს.

საინტერესოა მთელი რიგი თევდადებული ეპიზოდებისა, როგორც
 დამახასიათებელი ქართველი ერის სულისა და მთელი გვერდი (84) ამ
 სულის სხვა და სხვანაირად წარყვნისა.

აქ უნდა გავათავოთ ამ ფრიად საინტერესო წიგნის შესახებ ლაპა-
 რაკი, რადგან მისი მთავარი შინაარსი — 1924 წ. აჯანყება და მასში
 მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა და პირთა მონაწილეობა, ცოტა გა-
 უბედავად შემოფარგლული ავტორისაგან, ნებსით თუ უნებლიერ გა-
 დადის თითქმის მენშევიკურ აპოლოგიაში, რაც, შესაძლებელია, მისა-
 ლებიც არის გურიის მასშტაბით, მაგრამ ყოვლად უმწეოა საქართველოს
 მასშტაბით და საჭიროა ქართველი საზოგადოება ჯერ თითონაც გაეც-
 ნოს ამ წიგნს და ჩვენც ცალკე წერილით განვიხილავთ. დაუმატებთ
 მხოლოდ ერთს, რომ თვით ბ-ნი გოგიბერიძე, როგორც უშუალო მონა-
 წილე ბრძოლისა, კეთილსინდისიერი მოწმეა, მაგრამ სცდება კია ზო-
 გიერთ მოვლენებისა (მაგ. ორგანიზაციის იდეალობაში), პირთა (მაგ.
 ჯულელის) და პასუხისმგებლობის შეფასებაში. ეს წიგნი, ყოველშემ-
 თვევაში, დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს და საინტერესოდაც
 იკითხება.

**

სულ სხვა გემოვნებისაა ლეისპირელის მოთხრობა: „დანგრეული
 ოჯახი“ და იქვე ჩაკვეხებული „ნუცა“, „ესკიზი“: „დამნაშავეა!“ ნეტა
 ვის მოუცლია ასეთი უნიჭო, უკბილო და უგემო არარაობისათვის?
 ესაა, ცხოვრებიდან კი არა, რეზინის მაგვარ „დამოუკიდებელ საქართ-
 ველოდან“ ამოწერილი ნალეჭი, მოთხრობა-დიალოგებად გადაკეთებუ-
 ლი, საცა ნიშან-წყალი არ არის, არამც თუ „ღვთიური ნაპერწკალისა“,

არამედ ქართული ენისაც ყველაფერს „კაზიონი“ შტამპი აკრავს... რაღაცა თხელი და უსულო სიტყვიერი პატრიოტობით და შესაცოდავი „ფსიქოლოგიზმით“. ქართულ სიტყვებსაც კი ვერ ვპოულობ, ამ არა ქართული ენით ნაბლაჯნისათვის: „ფალშივობაა“ თავიდან ბოლომდე. რისთვის, ლმერთო, რისთვის გაგიჩენია კალამი, თუ კი მენშევიზმით ნა-ლძობ გონებას (?) შეუძლიან წერა ... ქანქანჩის იარაღითაც?... ბოდიში ქანქანჩის ამქართან.

მაგრამ, ამბობენ და დაიჯერებთ კიდეც თუ წაიკითხავთ, რომ ნამ-დვილი მენშევიკური კოლექტიური შემოქმედებითაა დაწერილი — მე-სამე წიგნაკი: „მემუარები ვ. ჩუბინიძისა“. ენა, თუ შესაძლებელია, ლე-ისპირელზედ უარესი; წიგნაკი — წითელ კანიანია, შავით დაბეჭდილი კარგ თეთრ ქალალდზედ. წიგნი უვარგისია, როგორც კოლექტიური ნა-წარმოები, მაგრამ ბევრ საინტერესო ცნობას შეხვდებით, რაღაც უბრა-ლო ადამიანის დაწერილია: ფაქტები ზოგი სწორია, დასკვნები ყველა, მენშევიკურად ყალბი.

პირველივე გვერდზე ნათქვამია, მაგ., რომ ჭიათურის მუშები, შე-მაღვენლობით მთლად და ცხოვრების პირობებით — სამ მეოთხედათ, იყვნენ მესაკუთრე გლეხები, ე.ი. საშუალოდ 2—3 თვეს მუშაობდნენ მალაროში, დანარჩენ დროს უბრუნდებოდნენ სოფლის მუშაობას (ასე იყო, დაახლოვებით დანარჩენ მთელ საქართველოშიაც) და როგორ მო-ხდა რომ სწრედ ასეთ ხალხს აბრიყვებდა, გაკოტრებული თავად-აზნა-ურობიდან და სემინარიელთა წრიდან გამოსული მენშევიზმი — მარ-ქსისტული იდეოლოგიით და „პროლეტარიატის დიქტატურის“ პერსპე-ქტივებით? იმ პარაზიტული აბრუნდით, რომლითაც იკეთებდნენ თა-ვიანთ საქმეს და საქართველოსას — აფუჭებდნენ. ადგილობრივ კოლო-რიტს არ არის მოკლებული ის გარემოებაც, რომ მაღნის დღიურ მუ-შებში არ ყოფილა არც ერთი გურული ან მეგრელი (გვ. 6), სამაგიე-როდ „დესეტნიკებად“ და „პრიკაშიკებად“ — უმეტესობა ამათგან შე-სდგებოდა (გვ. 13) და, ბ-ნ ვ. ჩუბინიძის ალწერით, უმგვან ექსპლოატა-ციას ეწეოდა ნამდვილი მუშებისა. ალსანიშნავია ვინმე ივანე ფუტკა-რაძეს ოინები (გვ. 15) და სხვ.

მერე, კაპიტალისტურ, მენშევიკურ და ბოლშევიკურ რეჟიმის პრიმიტიული შედარებაა, ასე ვსთქვათ, მუშების ეკონომიური მდგომა-რეობის მიხედვით და აქ ხელი ეტყობა უკვე კოლექტივის:

კაპიტალის ნაექსპლოატორი მუშა დღეში იღებს —	1 მ. და 90კ.
მენშევიზმის დროს —	2 მ. და 20 კ.
ბოლშევიზმის დროს —	2 მ. და 50 კ.

სამაგიეროდ, ბოლშევიზმის დროს მუშამ უნდა იმუშაოს 10—12 საათი (მენშევიზმის დროს 8ს.) და საათში დატვირთოს 650 ფუთი მარ-განეცი, ე.ი. დღეში 6500—7800 ფუთი. არ შეიძლება, ცოტა დაიჩლუ-ტოს ეს ფუთი, რომ დასაჯერებელი გახდეს მკითხველისათვის? (გვ. 20-25) სამოქალაქო უფლებებიც საშინელია მუშებისათვის ბოლშევიკე-

ბის დროს, თორემ სხვა მოქალაქეთათვის რომ უარესია, ამას რა უჭირს? „...ბუნებით ველურმა მილიციის უფროსმა ალექსანდრე ვაშაძემ, ჯერ საშინლად სცემა და მერე მაუზერით დასჭრა ვაგონის მუშავლასა ბრეგვაძე. ამას გამოეხმაურა მტვირთავთა კავშირი და მოითხოვა ალ. ვაშაძის პსუხისგებაში მიცემა, მაგრამ ხელისუფლებამ (ბოლშევიკურმა) მას წარჩინება მისცა, მაზრის ინსტრუქტორად დანიშნა“. მართლაც დიდი უმსგავსოებაა. მაგრამ იქნება ამხანაგ ჩუბინიძეს ახსოვს მეორე შემთხვევაც: ივანე ყაჩუხაშვილი იყო მილიციის უფროსად, „პრიტონის“ გახსნისა, ქალალდის თამაშისა და მექრთამეობისათვის, დატვირთულთა კავშირმა მოითხოვა მისი სამართალში მიცემა, მაგრამ ხელისუფლებამ (მენშევიკურმა) მას წარჩინება მისცა, ქუთაისის გუბერნიის გენერალ გუბერნატორად დანიშნა. როცა ამხანაგმა ივანე ყაჩუხაშვილმა ერთი ვინმე ვლასა ბრეგვაძეს მაგიერ, ათასი ვლასები და ბრეგვაძეები გაამატრახა, დასჭრა და დახოცა, სამეგრელო აიკლო, სამართალში მიცემის მგიერ, ხელისუფლებამ წარჩინება მისცა და შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის უფროსად დანიშნა. მე აღარ მახსოვს, რა საქმენი საგმირონი ჩაიდინა „დირექტორობის“ დროს, მაგრამ უკვე გამოცხადდა, რომ ამხანაგი ივანე ყაჩუხაშვილი ინიშნება მთელი საქართველოს ლენინალ-პროკურორობად. და როცა ერთმა გაზეთმა პროტესტი განაცხადა, რომ მექრთამეების დანიშვნა ლენინალ-პროკურორობა ხელსაყრელი არ არის მოქალაქეთათვის, ხელისუფლებამ სამართალში მისცა ვეშაპელი — დიფამაციისათვის. სასამართლომ გაამტკუნა ივანე ყაჩუხაშვილი: ვეშაპელს უფლება ჰქონდა ყაჩუხაშვილისათვის მექრთამე ეწოდებინაო!

სრულიად საქართველოს ლენინალ-პროკურორობად ყაჩუხაშვილი ვერ გახდა, მაგრამ ამით არ დასრულდა მისი კარიერა. როდესაც მენშევიკურმა ხელისუფლებამ სრულიად საქართველო წააგო და სტამბოლში ამოყო თავი, საცა უკვე ევროპიელთა წარმომადგენლობა განაგებდა ოსმალეთის ბედს, — საკონსულო სასამართლოს თავმჯდომარედ წამოაყენა იგივე ივანე ყაჩუხაშვილი. ასეთი საქმეები ათასობით იყო და სად იყო მაშინ „მტვირთავთა კავშირი“, რომლის ხელმძღვანელნი მაშინ მთავრობასა, მუნიციპალიტეტსა, ერობასა, ადმინისტრაციასა, სასამართლოსა და სხვა და სხვა მაღალ სფეროებში ბრძანდებოდნენ — რომ პროტესტს არ აცხადებდნენ? არ შეიძლება, ძამიკო-ვალიკო, ასეთი ორმაგი ბულალტერიის წარმოება: ხომ ხედავ პოლიტიკური დუქანი ამით გაკოტრდა!

დამახასიათებელი წვრილმანია იმ დროისათვის, როცა ერეკლე მეფის სახელობის სკოლას ჩეხოვის სკოლად ნათლავდნენ, მიხაილოვის პროსპექტს — პლეხანოვის პროსპექტად და მენშევიკურ გაზეთებს ზედ ეწერა: „P.C.D.P.P.“, რომ ბოლშევიკურ რუსის გარნიზონისა და მენშევიკური გვარდიის „პაროლები“ც ყოფილა: „შომპოლი“ და „შტიკი“.

(გაგრძელება იქნება)

რ. გ.